დაუყოვნებლივ აცნობოს ნავსადგურის კაპიტანს, ხოლო ხანძრის ან აფეთქების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიძახოს სახანძრო რაზმი და ყოველი ღონე იხმაროს ხალხისა და გვირთის გადარჩენისა და საფრთხის ლიკვიდაციისათვის.

საგვირთო ოპერაციის წარმოებისა და მისი დასრულების შემდეგ, გემის კაპიტანმა და სტივილორმა არ უნდა დაუშვან გემის სახიფათო დახრილობა.

მუხლი 38. გემის ღვომის ადგილის შეცვლა

ნავსადგურის კაპიტანის ნებართვის გარეშე, გემს არ აქვს უფლება შეცვალოს ღვომის ადგილი.

მითითებას გემების ყოველი გადაყენების და გადაადგილების, ასევე ნავმისადგომებიდან ნავსადგურის საჭიროების გამო რეიდზე გასვლის შესახებ გასცემს ნავსადგურის კაპიტანი ნავსადგურის დისპეჩერის განაცხადის საფუძველზე.

ადგილის მოსალოდნელი შეცვლის შესახებ ნავსადგურის მორიგე კაპიტანი აცნობებს სააგენტოს და გემის კაპიტანს არანაკლებ 2 სთ-ით ადრე.

თუ გემის გადაყენება და გადაადგილება დაგეგმილია 17-დან 8 სთ-მდე აღნიშნულის შესახებ შეგყობინება უნდა გაკეთდეს 17 საათამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა განხორციელდეს გემის გადაადგილება ან მასთან სხვა გემის დაყენება ბორგით (ლაგით), ამის შესახებ, გემის კაპიტანი გაფრთხილებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი საათით ადრე.

საგანგებო შემთხვევაში, ნავსადგურის მორიგე დისპეჩერს უფლება აქვს გემის გადაადგილება განახორციელოს გემის კაპიტანის წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

თუ გემი არ შეასრულებს ნავსადგურის კაპიტანის მოთხოვნას ნავმისადგომის განთავისუფლების თაობაზე, გემის კაპიტანი (გემთმფლობელი) პასუხს აგებს ამის შედეგად წარმოქმნილ ყველა ზარალზე.

ნავმისადგომის გასწვრივ მისაბმელებით გადაადგილება დასაშვებია ლოცმანის გარეშე, მაგრამ ნავსადგურის მორიგე კაპიტანის თანდასწრებით.

ნავმისადგომზე გემის მიბმის სამუშაო, უნდა აწარმოონ სანაპიროს მიმბმელებმა.

გემის ერთი ნავმისადგომიდან მეორეზე გადაყენება ან ნავმისადგომიდან რეიდზე გაყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გემზე არის კაპიტანი ან უფროსი თანამემწე.

შემღუდვები გემების გადაადგილებასა და გადაყენებაზე ღვინდება ნავსადგურში ამინდის პირობებიდან გამომდინარე, ნავსადგურის კაპიტანის მიერ.

ნავმისადგომზე გემის გადაადგილების შემთხვევაში, იმავე ნავმისადგომზე მდგომი სხვა გემები უნდა იყვნენ გაფრთხილებულნი.

მუხლი 39. მოქმედება შტორმის დროს

ამინდის გაუარესების შესახებ მონაცემების მიღებისთანავე, ნავსადგურის კაპიტანი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ნავსადგურის აკვატორიაში მყოფი ყველა გემის (მცურავი საშუალებები) კაპიტანს კავშირის ყველა შესაძლო საშუალებებით.

გემის კაპიტანის სავახტო თანამემწე ვალდებულია საშტორმო შეგყობინების მიღებისას გააკეთოს ჩანაწერი სავახტო ჟურნალში და დაუდასტუროს ნავსადგურის მორიგე კაპიტანს შეგყობინების მიღების დრო.

ამინდის ცუდი პროგნოზის მიღებისას (გაფრთხილება შტორმის შესახებ ან ამინდის გაუარესების ნათლივი ნიშნების არსებობისას), გემის კაპიტანი ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს გემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ქარისა და ღელვისაგან დაუცველ ნავსადგურის რაიონებში მდგომი გემები, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ მოყვანილნი, მზადყოფნაში მღვაში გასასვლელად.

შგორმის შესახებ გაფრთხილების მიღებისთანავე (ამინდის გაუარესება), ნავსადგურის კაპიტანმა, ნავსადგურის სადისპეტჩეროს უნდა გადასცეს გემების სია, რომლებმაც შგორმის განმავლობაში დროებით უნდა დაგოვონ ნავსადგური, ასევე ნავსადგურში დარჩენილი გემების დისლოკაცია, მეგნაკლებად დაცულ ადგილებში მათი განთავსების გათვალისწინებით.

ნებისმიერმა გექნიკურად გამართულმა გემმა, შგორმის პერიოდში, ნავსადგურის კაპიტანის მოთხოვნისთანავე, უნდა დაგოვოს ნავსადგური.

გემების კაპიტანებმა უსიგყოდ უნდა შეასრულონ ნავსადგურის კაპიტანის ყველა განკარგულება, გემების უსაფრთხო დგომის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 40. მცირეგონაჟიანი გემებისა და მცურავი საშუალებების ნავსადგურში დგომა

ნავსადგურის კაპიტანი განსაზღვრავს და უთანხმებს ნავსადგურის ადმინისტრაციას ყველა მცირეგონაჟიანი გემის და მცურავი საშუალებების, ნავმისადგომთან განლაგების გეგმას, მათ შორის შგორმის პირობებში გემების დროებით სადგომ ადგილებს.

მცირეგონაჟიანი გემებისა და მცურავი საშუალებების დგომის ადგილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი პირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას გემის უსაფრთხოება ქარისა და ღელვის პირობებში, ასევე მათი დაშორება სამოძრაო გზებისა და დიდგონაჟიანი გემის დამუშავების ადგილებიდან.

მცირეგონაჟიანი გემებისა და მცურავი საშუალებების ყველა კაპიტანმა უნდა უზრუნველყოს გემების უსაფრთხო დგომა დისლოკაციის ადგილას.

აკრძალულია არათვითმავალი მცურავი საშუალებების უეკიპაჟოდ ღუზაზე ბუქსირის გარეშე დაგოვება.

სატვირთო ნავმისადგომებთან მცირეგონაჟიანი გემებისა და მცურავი საშუალებების მიყენება დასაშვებია მხოლოდ ნავსადგურის მორიგე დისპეტჩერის ნებართვით.

მცირეგონაჟიანი გემების ყოფნა ნავთობტერმინალზე და ტანკერების დგომის სიახლოვეს აკრძალულია, თუ მათ არ გააჩნიათ ნაპერწკალჩამქრობი მოწყობილობა.

ნავსადგურში ღუზაზე ან ნავმისადგომთან მდგომ ყველა მცირეგონაჟიანი გემსა და მცურავ საშუალებაზე ორგანიზებულ უნდა იქნეს 24 საათიანი მორიგეობა.

მცირეგონაჟიანი გემებისა და მცურავი საშუალებების მეპატრონეები, თუ აღნიშნული გემები არ არის მოწყობილი მასზე მუდმივად ეკიპაჟის ყოფნისათვის, ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ გემების სადღეღამისო დაცვა და მათ დგომაზე მეთვალყურეობა.

მცირეგონაჟიანი გემებისა და მცურავი საშუალებების კაპიტანები ვალდებული არიან ნავსადგურის კაპიტანის პირველივე მოთხოვნისთანავე, უზრუნველყონ მათი გადაყვანა ან მითითებულ ადგილზე გადაყენება.

ამინდის გაუარესების თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე სანავსადგურე ფლოტის გემები და სხვა მცურავი საშუალებები, რომლებიც რეიდზე ან გემის ბორტთან იმყოფებიან, ვალდებული არიან თავი შეაფარონ ნავსადგურის შიდა აკვატორიას და ადგილი დაიკავონ დისლოკაციის გეგმის მიხედვით.

იმ გემების კაპიტანები, რომლებსაც არ გააჩნიათ ნავსადგურში მუდმივი სადგომი, ვალდებული არიან ნავსადგურის მორიგე კაპიტანის მითითებისამებრ დაიკავონ ადგილი შგორმის დროს.

ყველა მცირეგონაჟიანი გემი, არსებული ნორმების გათვალისწინებით აღჭურვილი უნდა იყოს ავარიული ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო საშუალებებით.

მცირეგონაჟიანი გემებს ეკრძალებათ:

მოძრავი დიდგონაჟიანი გემების ბორტთან მისვლა;
ბორტზე ან ბორტიდან გვირთის, ხელბარგისა და მგზავრების მიღება ნავსადგურის ადმინისტრაციის და საბაჟოს სპეციალური ნაბართვის გარეშე;
ნაოსნობა გადაგვირთულ მდგომარეობაში ან გემბანზე გვირთის განლაგების წესების დარღვევით.
მცირეგონაჟიან გემებს, ეკრძალებათ, ნავმისადგომთან ან რეიდზე მდგარ სხვა გემებთან მისვლა, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ნავსადგურის კაპიტანის მიერ გაცემული ნებართვის გარეშე.

მუხლი 41. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემების დგომა ნავსადგურში

1. გემების ექსპლოატაციიდან გამოყვანა და მათი გაჩერება ნავსადგურში ხდება შემდეგი მიზეზით:

ა) რთულ ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებში ნაოსნობისათვის გამოუსადეგარობის გამო;

ბ) სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად;

გ) დროებით გასაჩერებლად, დასაშლელად ან ნავსადგურიდან გაყვანამდე.

ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემების გაჩერების შესახებ გადაწყვეტილებას, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ღებულობს ნავსადგურის საზღვაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა გემის მეპატრონის ან კაპიტანის მოთხოვნის საფუძველზე.

გემთფლობელი ან კაპიტანი, რომელსაც სურვილი აქვს გააჩეროს გემი ან გემების ჯგუფი ხანგრძლივად სადგომად, რემონტის ან კონსერვაციისათვის, ვალდებულია წინასწარ შეიგანოს ნავსადგურის ადმინისტრაციაში წერილობითი განცხადება, რომელშიც ყოველ გემთან დაკავშირებით აღნიშნული იქნება:

ა) გიპი, დასახელება, რეგისტრაციის ნომერი, სიგრძე, სიგანე და წყალშიგი;

ბ) მიწერის ნავსადგური;

ნავსადგურში დაყენების სასურველი ადგილი;

დ) კაპიტანის ან სხვა პასუხისმგებელი პირის გვარი;

ე) გემის ეკიპაჟის იმ წევრთა სია, რომლებიც ხანგრძლივი დგომისას დარჩებიან გემზე;

ვ) ეკიპაჟის სავახტო სამსახურის წარმოების წესი, განრიგი;

ზ) ხანგრძლივი დგომის ან ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემის მფლობელისა და კაპიტანის მისამართები.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დასკვნა გემზე პროფილაქტიკურ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების შესახებ.

კაპიტანმა ნავსადგურიდან გასვლისას, ნავსადგურის კაპიტანს უნდა აცნობოს იმ პირის ვინაობა, რომელმაც გადადის გემსა და ეკიპაჟის პასუხისმგებლობა, კაპიტანის არყოფნის პერიოდში. აღნიშნული შეგყობინება, ხელმოწერილი უნდა იყოს ამ გემის კაპიტანისა და იმ პირის მიერ, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა, ასევე აღნიშნული უნდა იყოს ამ უკანასკნელის მისამართი.

მუხლი 42. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემის ხელმძღვანელობის ორგანიზება

ხანგრძლივი დგომისათვის გაჩერებულ გემზე პასუხისმგებელი პირები და გემის ეკიპაჟი ვალდებულია შეასრულოს ნავსადგურის ადმინისტრაციის ყველა განკარგულება, დაკავშირებული გემის ხანგრძლივი დგომის უსაფრთხოებასთან.

ნავსადგურის კაპიტანს უფლება აქვს მოსთხოვოს გემთფლობელს, ასევე გემებისა და ქარავნების კაპიტანებს მოვალეობის შესრულებიდან გადააყენოს ნებისმიერი პირი წესების დარღვევისათვის, თუ იგი საფრთხეს უქმნის ხანგრძლივი დგომისათვის გაჩერებული გემის უსაფრთხოებას.

3. შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი გემები შეიძლება დატოვებულ იქნეს მხოლოდ ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსის განსაკუთრებული ნებართვით და დაღვნილი ვადებით.

მუხლი 43. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემის მომზადება დასადგომად

1. გემის ექსპლოატაციიდან გამოყვანამდე გემის კაპიტანმა უნდა შეადგინოს გემის გაჩერების განმავლობაში მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმა, დამტკიცებული გემთმფლობელის მიერ შეთანხმებული ნავსადგურის ადმინისტრაციასთან.

2. ექსპლოატაციიდან გამოყვანილ გემებს უნდა გააჩნდეთ გამართული წყალსადვრელი, ხანძარსაწინააღმდეგო და გემის მისაბმელი საშუალებები.

3. გემის ექსპლოატაციიდან გამოყვანამდე ყოველი გემი უნდა გადმოიგვიროს, გაიწმინდოს თხევადი საწვავის ნარჩენების, საწვავი მასალების, ბელმეტი ინვენტარისაგან, იქნეს დეგაზირებული და სხვა. გარდა ამისა მიღებულ უნდა იქნეს ზომები კინგსტონის ჰერმეტიულობის შესანარჩუნებლად.

4. თხევადი საწვავის დატოვება ხანგრძლივად გაჩერებულ გემზე დასაშვებია მხოლოდ ნავსადგურის კაპიტანის ნებართვით.

5. ტანკების, ბუნკერებისა და სატუმბო განყოფილების გაწმენდის, ასევე გემზე საწვავის მარაგის შენახვის შესაძლებლობაზე, რაც ხელს არ შეუშლის სარემონტო სამუშაოების წარმოებას ღია ცეცხლით – უნდა შედგეს აქტი ნავსადგურის წარმომადგენლების, სახანძრო დაცვისა და გემის კაპიტანის მონაწილეობით.

6. გემზე ყველა სამსახურეობრივი და საცხოვრებელი სათავსო, როგორცაა: გრიუმი, სამანქანო განყოფილება, კაიუტები, კუბრიკები და სხვა, სადაც არ ხორციელდება სარემონტო სამუშაოები და არ ცხოვრობენ ეკიპაჟის წევრები, უნდა ჩაიკეცოს და დაიპლომბოს, ხოლო ელექტროგაყვანილობა გამოირთოს.

7. გემის მომზადება ექსპლოატაციიდან გამოყვანისათვის ევალება გემთმფლობელს.

8. ეკიპაჟის გარეშე მყოფი ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემის მიმართ უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გემის ყველა სათავსო საგულდაგულოდ ჩაიკეცოს;

ბ) ყველა ბორცვარეთა და წყალგაუმტარი ღიობა (ილუმინატორები, კარები, ლიუკები, ყელები, სახურავები და სხვა) მჭიდროდ ჩაირაზოს;

გ) მთავარი წყალგაუმტარი ნაკვეთურის ფარგლებში მილგაყვანილობა გაიყოს ავგონომიურ უბნებად, სარქველების გადაკეცივით და სახშობის დაყენებით;

დ) გაგანილ იქნეს გემიდან ყველა ფეთქებადსაშიში და ხანძარსაშიში ტვირთი, გემის მარაგი, საწვავი მასალები;

ე) გემი აღიჭურვოს გემის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი ავარიული და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით. ეს აღჭურვილობა უნდა განლაგდეს თავის საშტაგო ადგილას და იყოს მზად გამოყენებისათვის.

მუხლი 44. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემების ნავსადგურში განლაგება

1. დგომის ადგილი უნდა განისაზღვროს იმის გაანგარიშებით, რომ არ შეფერხდეს სხვა გემების მოძრაობა და სატვირთო ოპერაციების წარმოება.

2. განლაგების გეგმა და გემების მიმავლების საშუალებები უნდა შეთანხმდეს ნავსადგურის კაპიტანთან, ნავსადგურის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან და დამტკიცდეს გემთმფლობელის მიერ.

3. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემები უნდა იყოს მიბმული საიმედოდ, სათანადო ინტერვალის დაცვით შემუშავებული გეგმის თანახმად.

4. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემების კაპიტანებმა უნდა უზრუნველყონ ორმხრივ სახელურიანი საბიჯელას მოწყობა და მისი სისტემატური გაწმენდა.

5. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემების ადგილმდებარეობის შეცვლის საჭიროების შემთხვევაში გემის კაპიტანი ან გემზე პასუხისმტებელი სხვა პირი ვალდებულია აღნიშნული განახორციელოს ნავსადგურის ადმინისტრაციის მოთხოვნისთანავე.

6. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გემის სხვა ადგილზე გადაყვანა ხორციელდება ნავსადგურის ძალებით და საშუალებებით გემთმფლობელის ხარჯზე.

მუხლი 45. ეკიპაჟის წევრების ექსპლოატაციიდან გამოყვანილ გემებზე ცხოვრება

1. ეკიპაჟის წევრების ცხოვრება ნებადართულია მხოლოდ იმ გემებზე, სადაც შეიძლება ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა.

2. ამ გემებზე გარეშე პირების, ასევე, ეკიპაჟის წევრთა ოჯახების ცხოვრება აკრძალულია.

3. ეკიპაჟის წევრთა სიით გაუთვალისწინებელი გარეშე პირების ღროებით დაშვება ხდება ნავსადგურში მიღებული საშვების სისტემის საფუძველზე.

4. უშტატო ელექტროგასათბობი ხელსაწყოების გამოყენება აკრძალულია. საშტატო ელექტროგასათბობი ხელსაწყოების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ნავსადგურის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ნებართვით.

მუხლი 46. ვახტის ორგანიზაცია და გემების დაცვა

1. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემის დაცვა ევალება ეკიპაჟს.

2. მცირეტონაჟიანი გემების (მცურავი საშუალებების) ქარავნების დაცვა ევალება კაპიტანის მიერ დანიშნულ მევახტეებს.

3. ბორტებით გვერდიგვერდ მდგარი გემის ყველა ჯგუფზე უნდა არსებობდეს სადელამისო ვახტი.

4. ერთ მევახტეს უფლება აქვს თვალყური ადევნოს არა უმეტეს 5 მცირეტონაჟიან გემს (მცურავ საშუალებას).

5. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემის კაპიტანი ვალდებულია ამ წესის გარდა დაიცვას დისციპლინარული წესდება და სხვა ნორმატიული აქტები.

6. გემების ეკიპაჟები ვალდებულნი არიან უსიტყვოდ შეასრულონ ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსის, ნავსადგურის კაპიტანის და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მითითებები.

7. ექსპლოატაციიდან გამოყვანილი გემების მეპატრონეები და კაპიტანები პასუხს აგებენ გემის ქონების დაცვაზე, ხანძარსაწინააღმდეგო და ავარიულ-სამაშველო ინვენტარისა და აღჭურვილობის მზადყოფნაზე.

8. გემების ღკომისას უნდა შედგეს განგაშის განრიგი ყოველი გემის ან გემების ჯგუფისათვის.

9. სწავლება გემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის უნდა ჩატარდეს გემის ხანგრძლივ გაჩერებამდე, შემდეგ კი თვეში ერთჯერ.

10. თუ ხანგრძლივად გაჩერებულ გემებზე იმყოფება ეკიპაჟი, აუცილებელია ნავსადგურის კაპიტანის მითითებისამებრ აღიმართოს შესაბამისი მანათობელი ნიშნები.

11. მცირეტონაჟიანი გემების ჯგუფში, თუ ისინი ბორტებით დგანან გვერდიგვერდ შეიძლება განათებული იქნეს მხოლოდ განაპირა, მღვისკენ მდგარი გემები.

12. ელექტროგანათების უქონლობისას დასაშვებია დადგენილი ნიმუშის ნავთის ფარანის აღმართვა.

13. გემის დაზიანების ყოველი ფაქტის შესახებ გემის კაპიტანი, მეპატრონე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ნავსადგურის კაპიტანს.

თავი 7. საგვიროთო ოპერაციები ნავსადგურში

მუხლი 47. ზოგადი დებულებანი

1. ნავსადგურის ადმინისტრაცია ნავსადგურის კაპიტანთან შეთანხმებით და არსებული აღჭურვილობის გათვალისწინებით ყოფს ნავმისადგომებს საგვიროთო რაიონებად და გერმინალებად დასამუშავებელი გვიროთის კატეგორიების მიხედვით, რასაც აქვეყნებს საჯაროდ.

2. დაუშვებელია მავნე, საშიში, ადვილად აღებადი და ფეთქებადი გვიროთების დამუშავება არასპეციალიზირებულ ნავმისადგომზე.

3. დაუშვებელია მავნე, მტვრიანი, ქიმიური და მძაფრი სუნის მქონე გვიროთების დამუშავება ცხოველური წარმოშობის და საკვები გვიროთებისათვის განკუთვნილ ნავმისადგომებსა და გერმინალებზე.

4. ნავსადგურის ადმინისტრაცია, გერმინალის ოპერატორები და გემის ადმინისტრაცია ვალდებული არიან იხელმძღვანელონ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საერთაშორისო საზღვაო საშიში გვიროთების (IMDG CODE) კოდექსით, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს სახელმძღვანელოთი “საგვიროთო საგრანსპორტო ერთეულების შეფუთვისათვის” და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რეკომენდაციებით “საშიში გვიროთების უსაფრთხო გრანსპორტირებაზე და საპორტო რაიონებში დაკავშირებულ საქმიანობაზე”.

5. საგვიროთო ოპერაციები უნდა წარმოებდეს ცალკეული გვიროთის დაგვიროთვა-გადმოგვიროთვის გექნოლოგიური რუქების და გექნიკური პირობების შესაბამისად და შრომის უსაფრთხოების, ეკოლოგიური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

6. პასუხისმგებლობა, საგვიროთო ოპერაციების მსვლელობისას მომხდარ ადამიანებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების და გვიროთის დაზიანების გამო, თუ იგი დაკავშირებულია გემის ტაკელაჟის, გემის საგვიროთო და სხვა აღჭურვილობის გაუმართაობასთან – ეკისრება გემთმფლობელს.

7. პასუხისმგებლობა საგვიროთო ოპერაციების მსვლელობისას მომხდარ ადამიანებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების და გვიროთის დაზიანების გამო, თუ საგვიროთო ოპერაციები ხორციელდებოდა ნავსადგურის პერსონალის და აღჭურვილობის გამოყენებით – ეკისრება ნავსადგურის ადმინისტრაციას.

8. საკვები პროდუქტების, პირუტყვის, ფრინველის, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის და მცენარეული გვიროთის დაგვიროთვა-გადმოგვიროთვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. გვიროთის ფუმიგაციის ჩაგარების განმავლობაში გემზე არ დაიშვებიან გარეშე პირები განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. გემის დაცვას უზრუნველყოფს ეკიპაჟი.

10. გემის ბორცს მიღმა ან ნავმისადგომთან გვიროთის წყალში გადავარდნის ყველა შემთხვევის შესახებ გემის კაპიტანი და მორიგე სტივილორი დაუყოვნებლივ აცხობინებენ ნავსადგურის კაპიტანს სამსახურს.

11. აკრძალულია გვიროთის დაწყობა გზის სავალ ნაწილზე, გასასვლელებში, ასევე სარკინიგზო ხაზთან 2 მეტრზე ახლოს და 3 მეტრზე ახლოს ნავმისადგომის კიდესთან, სანავთობო ნავმისადგომის ხეფენლისა და სახანძრო მისასვლელების გადაგვიროთვა.

12. ამინდის შეცვლასთან დაკავშირებით საგვირთო ოპერაციის შეჩერებისას საჭიროა გრიუმის ლუკის სახურავის დახურვა. მოსახსნელი ბიძსების და მექანიკური სექციების დაუმაგრებლად დატოვება აკრძალულია.

13. კატეგორიულად აკრძალულია ნავსადგურში ნავთობგერმინალზე მდგომი გემების რეცხვა და ღებვა, გარდა მოქმედი წესის დაცვით დაწვდომის ტანკის რეცხვისა, გამწმენდ ნაგებობებზე შემდგომი ამოტუმბვით.

14. ნავსადგურის აკვატორიაში დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების დაღვრის ან აღმოჩენის შემთხვევაში საგვირთო ოპერაციები ნავსადგურში წყდება და გემები გაჰყავთ რეიდზე. გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით იღებს ნავსადგურის კაპიტანი.

15. ყველა საგვირთო ოპერაცია ნავსადგურში ხორციელდება ნავსადგურის მორიგე დისპეტჩერის ნებართვით.

16. გვირთის დაგვირთვის ან გადმოგვირთვის დაწყების შესახებ დისპეტჩერი ვალდებულია აცნობოს საბაჟოს.

17. ნავსადგურის ტერიტორიაზე საგვირთო ოპერაციებით დაკავებული ყველა ორგანიზაცია, საწარმო თუ პირი ვალდებულია უსიგყვოდ შეასრულოს ნავსადგურის ადმინისტრაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნა დაგვირთვის, გადმოგვირთვის, გვირთის დაწყებისა და შენახვის თაობაზე.

18. ყველა საგვირთო ოპერაცია ნავსადგურში, როგორც წესი, ხორციელდება ნავსადგურის ძალებით და საშუალებებით.

19. ცალკეულ შემთხვევაში ნავსადგურის ადმინისტრაციას შეუძლია გასცეს ნებართვა საგვირთო ოპერაციების კლიენტურის ძალებითა და საშუალებებით განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში სამუშაოების უსაფრთხოებასა და მოქმედი წესების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გვირთის გამგზავნს (მიმღებს).

20. დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოების წარმოებასა და საგვირთავი მანქანების მომსახურების უფლება აქვთ 18 წელს მიღწეულ პირებს, რომლებიც სამედიცინო კომისიის მიერ მიჩნეულნი არიან ვარგისიანად აღნიშნული სამუშაოების წარმოებისათვის, გავლილი აქვთ სწავლება და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და გააჩნიათ შესაბამისი მოწმობა. აღნიშნულ სამუშაოებზე ქალები დაიშვებიან შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

21. გემები, რომლებიც დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოებს აწარმოებენ საკუთარი საშუალებებით, უნდა ჰქონდეთ ეს საშუალებები გექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება გემის კაპიტანს.

22. გემის საშუალებებით საგვირთო ოპერაციების წარმოება დასაშვებია მხოლოდ გემის კაპიტანის მიერ ამ საშუალებათა გექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

23. გარე ან დაუცველ რეიდზე ნავსადგურის ძალებით გემის დამუშავებისას ნავსადგური ვალდებულია, გამოეყოს მცურავი საშუალება და მებუქსირე გემი დასამუშავებელი გემის ბორცის სიახლოვეს ან ბაკშტოვზე მუდმივი მორიგეობისათვის.

24. ნავსადგურის ძალებით რეიდზე გემის დამუშავებისას ნავსადგურის მუშების ბრიგადის გადაყვანა ნაპირიდან გემზე და უკან ხდება ნავსადგურის საშუალებებით და მის ხარჯზე, ყველა სხვა შემთხვევაში – კლიენტის საშუალებებით მისსავე ხარჯზე.

25. გვირთის დაგვირთვის, გადმოგვირთვის და გადაბიდვისათვის საჭირო დამხმარე მასალები, საშუალებები და სამაგრები, როგორცაა: სეპარაცია, საგებების მოსაწყობი ხე-ტყე, სამაგრი მასალები, ბრემენგი, ღრობითი ალჭურვილობა სპეცგვირთის, ცხოველების, ფრინველის და ა.შ. გადასაზიდად უნდა უზრუნველყოს გვირთის გამგზავნმა (მიმღებმა) თავის ხარჯზე.

26. გვირთის გამგზავნი ან მიმღები თავის ხარჯზე აწვდის ნავსადგურს სპეციალურ მოწყობილობებს თუ ეს აუცილებელია სპეციფიკური ან მიმღე გვირთისათვის, რომელთა გადაგვირთვაც ნავსადგურში ეკიზოდურ ხასიათს ატარებს.

27. მაგიდა-რამპები და ბაქნები, რომლებიც ეწყობა გემების გადმოგვირთვის მიზნით, უნდა იყოს მტკიცე და ისეთი ზომის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მომუშავეთა უსაფრთხო მანძილით დაშორება გვირთის აწვევისას (დაშვებისას).

28. არცერთ გემს და ორგანიზაციას უფლება არა აქვს აწარმოოს საგვირთო ოპერაციები არსებული საგვირთო მოწყობილობებით, უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ამ მოწყობილობებისათვის დადგენილი გვირთამწეობის ნორმის გადაჭარბებით.

29. სანავსადგურო ამწეები, საგვირთო ხილები აღჭურვილი უნდა იყოს ანემომეტრით, სადაც ავტომატურად ჩაირთვება სირენა თუ ქარის სიჩქარე მიაღწევს მღვარს, რომლის დროსაც ამწემ მუშაობა უნდა შეწყვიტოს. **6 ბალზე ძლიერი ქარის პირობებში წყდება კოშკური ამწეების, ხოლო 7 ბალზე ძლიერი ქარის შემთხვევაში – ყველა დანარჩენი ამწის მუშაობა.** ასეთ პირობებში სანაპირო ამწეები დგებიან საგაცეზზე, მცურავი ამწეები დამაგებით სამაგრებით მაგრდებიან ნავმისადგომთან ან გადაჰყავთ უსაფრთხო ადგილზე

30. ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსს თავისი ბრძანებით, ადგილობრივი პირობების და ამწეების კონსტრუქციების გათვალისწინებით, შეუძლია დაადგინოს ქარის ნაკლები სიძლიერე და ღელვა, რომლის პირობებში მოცემულ ნავსადგურში არსებული ამწეების მუშაობა უნდა შეწყდეს.

31. ამწეებით მუშაობის დროულ შეწყვეტაზე ზედამხედველობას ახორციელებს ნავსადგურის სადისპეტჩერო სამსახური და მექანიზაციის ჯგუფის ცვლის ინჟინერი).

32. გადაწყვეტილებას დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოს შეწყვეტის შესახებ, რომელიც წარმოებს გემის ჯალამბარის მეშვეობით, ყველა ცალკეულ შემთხვევაში იღებს საგვირთო გერმინალის (რაიონის) ადმინისტრაცია გემის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

33. თუ დაგვირთვა-გადმოგვირთვის ოპერაცია ხორციელდება ამწით, მისი მუშაობა უნდა შეწყდეს თუ:

ა) ამწით დასამუშავებელი გემი ახორციელებს მანევრირებას (სხვა ნავმისადგომთან გადაყვანა, გადაადგილება, მიბმა, დაყენება).

ბ) სარკინიგზო შემადგენლობის მანევრირებისას ამწის ისარი მოძრაობს სარკინიგზო შემადგენლობის თავზე.

34. გემის დაგვირთვა ხდება საგვირთო გემის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს გემის კაპიტანი ნავსადგურის ადმინისტრაციასთან, ხოლო საშიში გვირთის შემთხვევაში, დამაგებით ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან და ნავსადგურის კაპიტანის სამსახურთან შეთანხმებით.

35. მშრალი გვირთში გემის წინასწარ საგვირთო გემას ადგენს გემის კაპიტანი, გვირთების დაგვირთვისა და დამაგრების სახელმძღვანელოს შესაბამისად.

36. დაგვირთვა-გადმოგვირთვისათვის საჭირო დრო ნავსადგურში განისაზღვრება გემის დამუშავების ნორმების მიხედვით, რომლებიც დადგენილია წინამდებარე წესებით. (იხ. დანართი 4)

37. საგვირთო ლიუკების გახსნაში (დახურვაში) ნავსადგურის მუშების მონაწილეობისას, უსაფრთხოების გექნიკის წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გემის ადმინისტრაციას.

38. მექანიზირებული (ავტომატიზირებული) მოწყობილობით აღჭურვილი ლიუკების გახსნა და დახურვა ყველა შემთხვევაში ხორციელდება გემის შემადგენლობის მიერ.

39. გემის კაპიტანები და გვირთმფლობელები, საკუთარი ძალებით და საშუალებებით ნავმისადგომზე საგვირთო ოპერაციების განხორციელების უფლების მიღების შემთხვევაში ვალდებული არიან ყველა ღონე იხმარონ აღნიშნული ოპერაციების დროულად, ნავსადგურის მიერ განსაზღვრულ ვადებში დასრულებისათვის. გვირთი ნავმისადგომიდან გაგანილ უნდა იქნას ნავსადგურის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში.

40. საგვირთო ოპერაციების დაწყებამდე სტივიდორი ვალდებულია დაათვალიეროს მოწყობილობები (ხიდურები, საბიჯელები, ჩამოსაკიდი ბადეები და სხვა) და დარწმუნდეს გამოსაყენებლად მათ ვარგისიანობაში.

41. აკრძალულია მოწყობილობის გამოყენება და იგი უნდა შეიცვალოს ახლით შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მასზე არ არის დაკრული გრაფარეგი გამოცდის თარიღისა და გამოცდის მოქმედების ვადის, აგრეთვე დასაშვები გვირთამწეობის მითითებით;

ბ) თუ მოწყობილობას აქვს არსებითი ხასიათის დაზიანება.

42. თუ საგვირთო ოპერაციების წარმოება განსაზღვრულია ნავსადგურის ამწეებით, მაშინ გემის კაპიტანმა დროულად უნდა განარიღოს სივრცის გადამკვეთი და ამწეების თავისუფალი ცირკულაციისათვის ხელშემშლელი გემის აღჭურვილობა. გემის საგვირთო ისრები არ უნდა გადაცდნენ გემის ბორცს.

43. ყველა ასაწევი გვირთი უნდა დამაგრდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს გვირთის გადმოყრა და გადმოვარდნა.

44. გემი ისე უნდა დაიგვირთოს, რომ წელიწადის მოცემული დროისა და ნაოსნობის რაიონებისათვის დადგენილი საგვირთო მარკა არ აღმოჩნდეს წყალქვეშ.

45. ზედმეტად გადაგვირთულ ან არასწორედ დაგვირთულ გემებს დაგვირთვის დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრამდე ეკრძალებათ ნავსადგურიდან გასვლა.

46. გემი გადაგვირთულად ან არასწორედ დაგვირთულად ითვლება თუ:

ა) გემის საგვირთო მარკის მაჩვენებელი ხაზი, რომელიც მოცემულ პირობებში გემის დახრის უქონლობისას შეესაბამება უდიდეს დაგვირთვას – დაფარულია წყლით;

ბ) გვირთები გემებზე არასაკმარისადაა დამაგრებული, ან არ არის დამაგრებული საერთოდ;

გ) გემმა დაგვირთვის შემდეგ მიიღო მისთვის დასაშვებზე მეტი დახრის, ან მისი მდგრადობა არ შეესაბამება გემის დოკუმენტებს;

დ) ფხვიერი ან თხევადი გვირთით დაგვირთული გემი არ არის აღჭურვილი რწევის დროს გვირთის გადაადგილების ან გადაღვის საწინააღმდეგო საშუალებებით;

ე) გემბანზე გვირთი განლაგებულია არასწორად და საფრთხეს უქმნის გემს და მასზე მყოფ ადამიანებს;

ვ) დარღვეულია საშიში გვირთისა და ცხოველების დაგვირთვის წესები;

ზ) დარღვეულია დაგვირთვის და გადაზიდვის სხვა რომელიმე წესი.

47. გემის ადმინისტრაციის მითითებათა შესრულება დაგვირთვის, განთავსების, დამაგრების, სეპარაციისა და გადმოგვირთვის თაობაზე აუცილებელია იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საგვირთო ოპერაციებს.

48. გემის ადმინისტრაციას უფლება აქვს შეწყვიტოს საგვირთო ოპერაციები მათი წარმოებისას დაშვებული წესების დარღვევის შემთხვევაში, მის აღმოფხვრამდე და გემის ადმინისტრაციის მოთხოვნათა შესრულებამდე.

49. საგვირთო ოპერაციის დასრულების შემდეგ სანაპირო ამწეების ისრები უნდა მობრუნდეს ნაპირის მხარეს და არ გადაცდეს ნავმისადგომის კიდე. ელევატორის მილები უნდა აიწიოს და განლაგდეს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს გემების დაყენებას

(მიბმას) და გადაყვანას. მთელი ტაკელაჟი და საგვირთო საშუალებები უნდა ალაგდეს და დაიწყოს საგვირთო უბნის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

50. საგვირთო ოპერაციების მიმდინარეობის ადგილი დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს ნავისაგან და მოყვანილ იქნას წესრიგში, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება საგვირთო ოპერაციების ხელმძღვანელს. ამასთან აკრძალულია ნავმისადგომიდან ნავის ზღვაში და ნავმისადგომის სადრენაჟო სისტემაში ჩაყრა.

51. ნავსადგურის ტერიტორიაზე და ნავმისადგომზე აკრძალულია კონჯოების, ღუმების, გვარლების, მანქანის ნაწილებისა და სხვა ინვენტარის დატოვება.

52. სანავსადგურო წყლებში ჩაძირული ყოველგვარი ტვირთის შესახებ, რასაც შეუძლია შეაფერხოს და საფრთხე შეუქმნას ნაოსნობას, საგვირთო ოპერაციების ხელმძღვანელებმა უნდა აცნობოს ნავსადგურის კაპიტანს.

53. საგვირთო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, როგორც თვით სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული უსაფრთხოების ზომებით.

54. საგვირთო ოპერაციების უსაფრთხოებას ახორციელებს: ნავსადგურის ტერიტორიასა და ობიექტებზე – ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს სამუშაოებს, გემზე – სტივიდორი და გემის ადმინისტრაცია.

55. საგვირთო უბნის უფროსები, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გემის ადმინისტრაციები, რომლებიც ნავსადგურის ტერიტორიაზე აწარმოებენ სამუშაოებს, სრულად აგებენ პასუხს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვაზე და გარემოსდაცვითი წესების მოთხოვნების დარღვევაზე.

56. დღე-ღამის ბნელ პერიოდში საგვირთო ოპერაციების წარმოების ადგილი გემებზე, ნავმისადგომებზე, საწყობებში უნდა იყოს განათებული მოქმედი ნორმების მიხედვით. განათება ხელს არ უნდა უშლიდეს ნაოსნობას.

57. ნავმისადგომზე და საწყობებში განათებას უზრუნველყოფს ნავსადგური, ხოლო გემზე – გემის ადმინისტრაცია.

58. ნაპირიდან გემზე ასვლა და ჩამოსვლა დასაშვებია მხოლოდ გრაპებით და უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა სრული დაცვით დამზადებული საბიჯელათი.

59. გემის გრაპებისა და საბიჯელების ტექნიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გემის ადმინისტრაციას, ნავსადგურის კუთვნილი გრაპებისა და საბიჯელების ტექნიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც ნაპირიდან მოეწოდება გემს პასუხისმგებლობა ეკისრება ნავსადგურის ადმინისტრაციას.

60. ექსპლუატაციის პროცესში აღმოჩენილი გრაპებისა და საბიჯელების გაუმართაობის შესახებ, მომუშავეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ შესაბამისად ნავსადგურის ან გემის ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია გასცეს განკარგულება დეფექტების აღმოფხვრის ან დაზიანებული გრაპებისა და საბიჯელების ექსპლუატაციიდან ამოღების თაობაზე.

61. საგვირთო ოპერაციების მიმდინარეობის ადგილას იკრძალება:

ა) მოწვევა, გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;

ბ) იმ პირების დასწრება, რომლებსაც სამსახურებრივად არა აქვთ კავშირი მიმდინარე სამუშაოებთან.

62. ნავსადგურის ადმინისტრაციას და გემის ადმინისტრაციას ევალება მკაცრი ზომები გააგაროს 61-ე პუნქტის დამრღვევთა მიმართ, (უფლება აქვთ გააძევიონ გემისა და ნავსადგურის ტერიტორიიდან).

63. უბედური შემთხვევისას, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთანაა დაკავშირებული საგვირთო ოპერაციების სტივიდორი და ბრიგადირი

დაზარალებულისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან ერთად ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ მომხდარის შესახებ, შრომის დაცვის სამსახურს და გერმინალის (რაიონის) უფროსს.

64. ყველა საგვირთო სამუშაო ნავსადგურში, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით. მექანიზირებული დაგვირთვისას, დამხმარე ოპერაციების ხელით შესრულება, ასევე ხელით სამუშაოთა გარკვეულ სახეობათა წარმოება, დაშვებულია მხოლოდ უსაფრთხოების გექნიკის წესების მკაცრი დაცვით.

65. უსაფრთხოების გექნიკის დაცვის მიზნით გერმინალების, უბნების, მეურნეობების, განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ ინსტრუქციები ცალკეული პროფესიების მიხედვით. დაამტკიცონ ნავსადგურის ადმინისტრაციაში და უზრუნველყონ მუშები ამ ინსტრუქციებით. გიპიური ინსტრუქციების არსებობის შემთხვევაში, ისინი საფუძვლად უნდა დაედოს ნავსადგურებში, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულ ინსტრუქციებს.

66. ინსტრუქცია უსაფრთხოების გექნიკის სფეროში უნდა შეთანხმდეს შრომის დაცვის სამსახურთან და დაამტკიცოს ნავსადგურის ადმინისტრაციამ.

67. ინსტრუქცია უნდა შეისწავლონ რიგითმა მუშაკებმა და ხელმძღვანელობის უმცროსმა რგოლებმა, შესაძლებლობებისამებრ უზრუნველყონ მისი სამუშაო ადგილზე, გარდერობებში და დასვენებისათვის გამოყოფილ ადგილებში გამოკვრა.

თავი 8. გვირთის დაგვირთვა, გადმოგვირთვა, დაწყობა და შენახვა

მუხლი 48. ზოგადი დებულებანი

1. გემბანზე განთავსებული, განსაკუთრებით მძიმე წონის გვირთით და ხე-ტყით გემის დაგვირთვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესის მკაცრი დაცვით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გემის მდგრადობა კაპიტანისთვის ცნობილი ნორმის ფარგლებში.

2. გემბანის გვირთი, როგორც წესი არ უნდა ცდებოდეს გემის ბორცს.

3. მძიმე გვირთით დაგვირთვა-გადმოგვირთვისათვის სამუშაოები აუცილებლად უნდა განხორციელდეს სტივიდორის, ცვლის მექანიკოსის (თუ სამუშაო მიმდინარეობს ამწეების მეშვეობით) და გემის კაპიტანის უფროსი თანამემწის მონაწილეობით. აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის გამოიყოფა სპეციალური ბრიგადა ყველაზე კვალიფიციური მუშების, მემამწეების, მეჯალამბრეების შემადგელობით.

4. გვირთი განთავსებულ უნდა იყოს გარაში შესაბამისი წესის გათვალისწინებით.

5. დაგვირთვამდე ტრიუმები სათანადოდ უნდა მომზადდეს და შემოწმდეს გვირთის სურვეერის მიერ.

6. ნავმისადგომები, რომლებზეც საკვები გვირთის დაგვირთვა-გადმოგვირთვა ხორციელდება უნდა იყოს სანიმუშოდ დასუფთავებული.

7. ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან გამომდინარე, ნავსადგურის კაპიტანი აკონტროლებს გემზე დამტკიცებული საგვირთო გეგმის არსებობას, მის სისწორეს და ასევე დაგვირთვას ამ გეგმისა და შესაბამისი წესების დაცვით.

8. საგვირთო ოპერაციების ხელმძღვანელი ვალდებულია მოაწყოს სათანადო დამცავი საშუალება (ბრემენტი, საგაკვლავო ბადე), რათა არ მოხდეს გვირთის წყალში ჩაჯარღნა.

9. ადვილად აალებადი გვირთების (ბამბა, ნელლი ბამბა, სელი, ძენძი და სხვა) დაგვირთვა-გადმოგვირთვისას ლითონის ჯამბარის და ბადის გამოყენება აკრძალულია. ლიუკების კომინგსები დაცული უნდა იყოს ბრემენტებით და ხის ფარებით, ხოლო საგვირთო გვარლების რკინის მენჯს შემოკერილი უნდა ჰქონდეს გილო.

10. მცენარეული გვირთის დაწყობა, შენახვა და დემინფექცია უნდა მოხდეს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის მითითებათა გათვალისწინებით, ხოლო ცხოველური წარმოშობის გვირთის, სანიტარული, ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით.

11. გაფუჭებული გვირთი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გატანილი ნავსადგურის ტერიტორიიდან, გვირთის მფლობელის მიერ მისივე ხარჯით.

მუხლი 49. ნავსადგურის ნავმისადგომებით, საწყობებით და ბაქნებით სარგებლობის წესი

1. ნავსადგურის საწყობებით, ნავმისადგომებით, უბნებით, ტერიტორიით და შენობებით სარგებლობა შეუძლია ორგანიზაციებს, საწარმოებს და იმ პირებს, ნავსადგურის ადმინისტრაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ან ნებართვის საფუძველზე.

2. ნავსადგურის ტერიტორიაზე და აკვატორიაში არსებული საწყობების, ნავმისადგომების, შენობების ყველა მფლობელი თუ მოიჯარე ვალდებულია, უსიგყვოდ შეასრულოს სახანძრო, სანიტარული, ტექნიკური და სანავსადგურო ზედამხედველობის ყველა მოთხოვნა თუ იგი შეეხება საწყობებს, ნავმისადგომებს ან შენობებს.

3. ნავსადგურის ტერიტორიაზე, საწყობებში, ბაქნებზე და ნავთობტერმინალებზე გვირთის დაწყობა აკრძალულია:

ა) აკრძალულ მონაში;

ბ) მისაბმელი ტუმბებისა და ბრიდელების, ფარნის ბოძის, გეოდეზიური ქსელის ნიშნების, ჭერის, სახანძრო ამწეების, სახანძრო სიგნალიზაციის, ელექტროჩასართველების ირგვლივ, სადრენაჟო სისტემების ჭებზე (შტამბელეზად გვირთის დაწყობა დასაშვებია აღნიშნულ ადგილებთან არანაკლებ 2 მეტრის დაშორებაზე);

გ) საწყობიდან არანაკლებ 4 მეტრის დაშორებაზე და საწყობში გვირთებს შორის ნორმებით დადგენილი გასასვლელების გარეშე დალაგება;

დ) წყალგაყვანილობის, საგრანსპორტო და ელექტროკაბელის გრასებზე;

ე) 1,7 მ ნაკლები დაშორებით უახლოესი რელსიდან და 3 მ-ზე ნავმისადგომის ნაპირიდან;

ვ) ვებზე, ქვეითადმოსიარულეთა და გრანსპორტის გასასვლელებზე, სახანძრო ავტოტუმბოებთან და სხვა.

ზ) საჰაერო ელექტროგაყვანილობის, მაღალი ძაბვის გაყვანილობისა და სატელეფონო სადენებისა ან ტელეგრაფის ქელის ქვეშ.

მუხლი 50. გვირთის შემოგანა ნავსადგურში და ნავსადგურიდან გაგანა

1. ნავსადგურის ტერიტორიაზე გვირთის შემოგანა გვირთის გამგზავნის შეუძლია ნავსადგურის საგვირთო (კომერციულ) განყოფილებასთან გვირთის დაწყობის ადგილისა და დროის შესახებ შეთანხმების შემდეგ.

2. გვირთის გაგანა მფლობელის მიერ უნდა მოხდეს ნავსადგურში საბაჟოს თანხმობით.

3. ნავსადგურში აკრძალულია:

ა) გაუმართავ და არამარკირებულ გარაში მოთავსებული გვირთის შეგანა;

ბ) თუ ნაყარი და ზვინული გვირთი გადაზიდვის წესების თანახმად უნდა გადაიზიდოს გარით, მაშინ მათი ნავსადგურის ტერიტორიაზე გარის გარეშე გადაზიდვა აკრძალულია;

4. პირველ პუნქტში გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება იმ ნავმისადგომებზე და ტერმინალებზე, რომლებიც გადაცემულნი არიან იჯარით

ოპერატორებს ან იმყოფებიან სხვა იურიდიული პირების მფლობელობაში. ამ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია ნავსადგურის ადმინისტრაციას გადაეცემა ცნობისათვის.

თავი 9. საგვრთო ოპერაციები საშიშ გვრთებთან

მუხლი 51. ზოგადი დებულებანი

1. საშიში გვრთის დაგვრთვა-გადმოგვრთვა უნდა ხდებოდეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საერთაშორისო საზღვაო საშიში გვრთების (IMDG CODE) კოდექსის და წინამდებარე წესების შესაბამისად.

2. საშიშ გვრთის განეკუთვნება ყველა ის ნივთიერება და საგანი, რომელიც გადაზიდვის, შენახვის, დაგვრთვისა და გადმოგვრთვის დროს შესაძლოა გახდეს აფეთქების, ხანძრის და საერთოდ რაიმე დაზიანების, გემის, გვრთის, სანავსადგურო მოწყობილობების, შენობების ნგრევის, ადამიანის დაღუპვის, დაზიანების, მოწამვლის, დამწვრობის, დასხივების ან ზოგადად ადამიანებისა და ცხოველებისათვის საფრთხის შექმნის მიზეზი.

3. საშიში გვრთის მოსალოდნელი გადაზიდვის შესახებ, გვრთის გამგზავნმა გადაზიდვას გვრთის ნავსადგურში შეგანამდე არა უგვიანეს 7 დღით ადრე უნდა წარუდგინოს განაცხადი, თანდართული სწორად შევსებული დოკუმენტებით.

4. განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს რომელ კლასს, კატეგორიას, ჯგუფს განეკუთვნება საშიში გვრთი, მისი გექნიკური დასახელება, ადგილების რაოდენობა, წონა ბრუტო და დანიშნულების ადგილი. გარდა ამისა აღნიშნული უნდა იყოს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საერთაშორისო საზღვაო საშიში გვრთების (IMDG CODE) კოდექსი ცნობილია გვრთის გამგზავნისათვის, ხოლო გადასაზიდი გვრთის შეფუთვა, მარკირება (იხ.დანართი 5) და საშიშროების დამადასტურებელი გრაფარეგი სრულად შეესაბამება საშიში გვრთის გადაზიდვის წესებს.

5. გემები, რომლებსაც საშიში გვრთი მიაქვთ ნავსადგურში და არ გააჩნიათ გადმოგვრთვის ნებართვა, ნავსადგურში შესვლამდე ღებებიან ღუბაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ რაიონში.

6. გემის კაპიტანი ვალდებულია აცნობოს ნავსადგურის ადმინისტრაციას და ნავსადგურის კაპიტანს სამსახურს, ბორცზე საშიში გვრთის არსებობის შესახებ და დაელოდოს მითითებას გადმოგვრთვის დროისა და ადგილის თაობაზე.

7. აკრძალულია საშიში გვრთით დაგვრთული გემების სხვა გემებთან მიყენება ან მათ სიახლოვეს ღუბაზე დგომა.

8. საშიში გვრთის ნავსადგურის ტერიტორიაზე შემოგანა გემზე დაგვრთვის მიზნით დასაშვებია მხოლოდ ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. შემოგანის ვადებს და განთავსების ადგილს აზუსტებს ნავსადგურის ადმინისტრაცია.

9. საშიში გვრთის დაგვრთვა-გადმოგვრთვის ადგილს განსაზღვრავს ნავსადგურის ადმინისტრაცია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან, ნავსადგურის დაცვასთან და სანიტარული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით.

10. საშიში გვრთის დაგვრთვა-გადმოგვრთვა და დახარისხება ხდება ნავსადგურის ან საგვრთო ტერმინალის (რაიონის) კომპეტენტური წარმომადგენლის თანდასწრებით.

11. საშიში გვრთის მოსალოდნელ გადამუშავებასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაოს გვრთის სახეობისა და სამუშაოთა წარმოების ადგილის შესახებ, ნავსადგურის სადისპეტჩერო სამსახური წინასწარ, გვრთის ნავსადგურში

შეგანამდე, აცნობებს ნავსადგურის შრომის დაცვის სამსახურის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის, სანიტარული მედამხედველობის ორგანოებს.

12. საშიში გვირთის დაგვირთვა და გადმოგვირთვა უნდა განხორციელდეს საგვირთო ოპერაციებზე დაკავებული ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო საშუალებებით და მეთოდებით, გემის საცხოვრებელი, სამსახურებრივი და საწარმოო სათავსოების დაჭუჭყიანებისაგან დაცვით. ნაყარი სახიფათო გვირთის გადაგვირთვისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული სამუშაო ადგილისა და მიმდინარე გერიგორიის დაბინძურება.

13. საშიშ გვირთებთან საგვირთო ოპერაციების განხორციელებისას აკრძალულია გემების საწვავით მომარაგება.

14. საშიშ გვირთებთან საგვირთო ოპერაციები უნდა ხდებოდეს გვირთის თვისებების გათვალისწინებით შედგენილი გექნოლოგიური რუქის მიხედვით. გექნოლოგიური რუქა შეთანხმებული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან, შრომის დაცვის სამსახურთან, სანიტარული მედამხედველობის ორგანოსთან, ოპერატორთან და დამკვიცებული ნავსადგურის ადმინისტრაციის მიერ.

15. საშიში გვირთი, როგორც წესი, გემში უნდა ჩაიგვირთოს ყველა სხვა გვირთის შემდეგ და გადმოიგვირთოს პირველ რიგში.

16. საგვირთო ოპერაციების დაწყებამდე ოპერატორს და საგვირთო ოპერაციის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეთ ხანძრის, აფეთქების ან სხვა ინცინდენტის შემთხვევაში ქონების განლაგების, ვაგონების გადაწევის, გემებისა და ავტომანქანების გაყვანის გეგმა.

17. საშიში გვირთების განსათავსებლად უნდა გამოიყოს ცეცხლგამძლე მასალით აგებული, ასეთივე იაგაკისა და საფარის მქონე, ცეცხლგამძლე კედლებით დაყოფილი შენობა (საწყობი). დასაშვებია საშიში გვირთის სპეციალურ სარდაფებში და მიწურებში შენახვა შესაბამისად საშიში გვირთის სპეციფიკის გათვალისწინებით.

18. საშიში გვირთის განთავსების ადგილი უნდა იყოს მუდმივად დაცული, გააჩნდეს სახანძრო სიგნალიზაცია და დაცვის თანამშრომლებისთვის მისაწვდომი სატელეფონო კავშირი. საშიში გვირთის შესანახ შენობას გარეთ (შიგნით), უნდა გააჩნდეს ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები: “საშიშია”, “მოწევა სასტიკად აკრძალულია” და სხვა.

19. საშიში გვირთის ნავსადგურის საწყობებში, ღია ბაქანზე, ვაგონებში შენახვა ყველა შემთხვევაში შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო დაცვის ორგანოსთან, სანიტარული ღონისძიებები კი სანიტარული მედამხედველობის ორგანოსთან.

20. ექსპლიტორებს (ფორვადერებს) და ოპერატორებს, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს საშიშ გვირთებთან დაკავშირებით, უნდა ჰყავდეთ საშიში გვირთების გადაზიდვის სფეროში სერთიფიკატის მქონე თუნდაც ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი

მუხლი 52. საგვირთო ოპერაციები

1. ადვილადაალებადი სითხეების დაგვირთვა-გადმოგვირთვა განკერებში ხდება სპეციალიზირებულ ნავმისადგომთან, უნავმისადგომო ჩამოსასხმელთან და რეიდზე – ბორგიდან გადმოგვირთვისას, ნავთობგანკერებსა და გერმინალებზე უსაფრთხოების საერთაშორისო სახელმძღვანელოს (ISGOTT) წესების შესაბამისად.

2. საგვირთო ოპერაციების განხორციელებისას ყველა განკერი უნდა იქნეს ჩამიწებული. ჩამიწებას ახორციელებს ნავთობგერმინალის ოპერატორი ხანძარსაწინააღმდეგო წესების სრული დაცვით.

3. ნავთობგერმინალებზე ნავთობთან და ადვილადაალებად სითხეებთან საგვირთო ოპერაციები, უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, უნდა მიმდინარეობდეს

დახურული მეთოდით (სანაპირო საგვიროთო სადენის შლანგის მილგუჩი მჭიდროდ უნდა იყოს მიერთებული განკერის მიმღებ საგვიროთო მილთან, რათა გამოირიცხოს ადვილადააღებადი სითხეების გამოჟონვა შლანგიდან, განკერის გემბანზე ყველა ღიობი უნდა იყოს დახურული გარდა, განკერის ვენტილაციის სისგემისა).

4. 20 000 ათასი და მეტი განკერების საგვიროთო ოპერაციები, უნდა ხორციელდებოდეს, ინერტული განკერების პირობებში.

5. ადვილადააღებადი სითხეების და ნავთობის გემბანზე ან ზღვაში გადაღვრის თავიდან აცილების მიზნით განკერისა და საწვავშილი გემის მევახტე სამსახური მუდმივად თვალყურს უნდა აღევნებდნენ ჩამკეტი სარქველის (ფარსახური) და საგვიროთო შლანგების მდგომარეობას და დახურული იქონიოს გემის ყველა ღიობი, რათა ადვილადააღებადი სითხეების ავარიული დაღვრის შემთხვევაში თავიდან იქნეს აცილებული ადვილადააღებადი სითხეებისა და ნავთობის მოხვედრა ნავსადგურის აკვატორიაში.

6. გარეთა ჩამოსასხმელ-გადასასხმელი მილსადენებიდან (სახელოები, შლანგები და სხვა) ადვილადააღებადი სითხეების გადინების შემთხვევაში მათი შეერთების ადგილას უნდა განთავსდეს ქვესადგარები და ლოტები ადვილადააღებადი სითხეების შესაგროვებლად.

7. საგვიროთო ან საბუნკერე ოპერაციების პროცესში ნავთობის დაღვრისას გემის დამუშავება უნდა შეწყდეს, გემზე გამოცხადდეს გემის საერთო განგაში, ხოლო ნავსადგურის სანავთობე უბნის მორიგე სამსახურმა ქმედითი ზომები გააგაროს აკვატორიისა და ნავსადგურის გერიგორიის დაბინძურებული ადგილების გასაწმენდად, გამოიძახოს სახანძრო დაცვა და ნავსადგურის კაპიტანი შესაბამისი საბუთების გასაფორმებლად.

8. საგვიროთო ოპერაციების დასრულების შემდეგ სანაპირო და გემის მილსადენის შემაერთებელი მოწყობილობები განცალკევებამდე უნდა დაიცალოს თუ ისინი არ არიან აღჭურვილნი სპეციალური შეუქცევადი სარქველით ან სხვა მოწყობილობით, რომელიც გამორიცხავს ადვილადააღებადი სითხეების გადაღვრას, მოქმედი შლანგები უნდა იქნეს წამოწეული ზემოთ საგვიროთო ისრების კრონშტეინების და სხვათა მეშვეობით.

9. საგვიროთო ოპერაციების მიმდინარეობისას განკერებს ეკრძალება:

- ა) ბორტზე ფეთქებადი ნივთიერებების ქონა;
- ბ) სხვა გარე შუქების არსებობა, გარდა ღვომისათვის დასაშვებისა;
- გ) გემის განკერის რეცხვა და ღეგაზაციის წარმოება.

10. რეილზე ადვილადააღებადი სითხეების გადმოგვირთვისას საბუქსირე ჩასასხმელმა ბარკებმა ან ლიხტერებმა ზემოთ აღნიშნულ წესებთან ერთად უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) ღუბაზე ღვომისას გემი მკაცრად იცავს ნავსადგურის კაპიტანის მითითებას ღვომის ადგილის შესახებ;

ბ) ბარკისა და ლიხტერის მიყენება განკერის ბორტთან უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა არ მოხდეს დაჯახება, ახუნი ან დაწოლა;

გ) განკერის, ბარკისა და ლიხტერების ბორტები უნდა აღიჭურვოს რბილი საკიდი საცავბალიშებით;

დ) ადვილადააღებადი სითხეების დაგვირთვა-გადმოგვირთვა ბარკისა და ლიხტერში ხდება მხოლოდ დახურული წესის შესაბამისი მილსადენის მეშვეობით;

ე) ღელვის პირობებში გადმოგვირთვა ან დაგვირთვა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს განკერის კაპიტანის შეხედულებისამებრ. ამ შემთხვევაში ბარკა ან ლიხტერი გაყვანილ უნდა იქნეს განკერის ბორტიდან და დაღვეს ღუბაზე;

ვ) რეიდზე ადვილადაალებადი სითხეების საგვირთო ოპერაციების განხორციელებისას უნდა მორიგეობდეს მებუქსირე გემი (კატარდა) ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით აღჭურვილი, რათა დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დახმარება განკერს ხანძრის წარმოშობის შემთხვევაში;

ზ) ბარჯას უნდა გააჩნდეს ელექტროგანათება, რომელიც შეესაბამება ამ ტიპის გემებისათვის საკლასიფიკაციო საზოგადოებების მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

თ) საგვირთო ოპერაციების წარმოება სვლის დროს აკრძალულია გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა ნავსადგურის კაპიტანთან შეთანხმებით;

ი) დაუშვებელია 23°C -ზე ნაკლები ფეთქების ტემპერატურის მქონე ადვილადაალებადი სითხეების ორ ბარჯაში ერთდროულად ჩასხმა;

11. ნავსადგურში ან რეიდზე ადვილადაალებად სითხეებთან საგვირთო ოპერაციების განხორციელებისას უნდა აღიმართოს დღისით წითელი დროშა "B" (BRAVO); ღამით – წითელი წრიული შუქი.

მუხლი 53. გარაში მოთავსებული ადვილადაალებადი სითხეების დამუშავება

1. საზღვაო ნავსადგურში გარაში მოთავსებული ადვილადაალებადი სითხეების მიღების, დაგვირთვისა და გადმოგვირთვისათვის უნდა სპეციალურად გამოიყოს, შემოიღოს და აღიჭურვოს ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით მოედნები და ნავმისადგომები, რომლებიც განლაგებულია სხვა გვირთების გადამუშავების ადგილებიდან არანაკლებ 200 მეტრის დაშორებაზე.

2. $+60^{\circ}\text{C}$ ნაკლები ფეთქების ტემპერატურის მქონე ადვილადაალებად თხევად სითხეებს მეპატრონე დასაგვირთავად აწვდის ნავსადგურს უშუალოდ გემის ბორტთან, ნავსადგურიდან გამოგანა კი ხდება გემიდან გადმოგვირთვითანავე. $+23^{\circ}\text{C}$ –დან $+61^{\circ}\text{C}$ -მდე ფეთქების მქონე ადვილადაალებადი სითხეების (ქვეკლასი 3.3) გადმოგვირთვა გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა ნავმისადგომზე, თუ არსებობს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, იმ პირობით, რომ გამოგვირთვიდან არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში მეპატრონე გაიგანს გვირთის ნავსადგურიდან.

3. ადვილადაალებადი სითხეების დაღვრა ნავსადგურის ტერიტორიაზე აკრძალულია.

4. გარაში მოთავსებული ადვილადაალებადი სითხეების დაგვირთვა და გადაზიდვა უნდა ხდებოდეს სპეციალური წესის შესაბამისად.

5. ადვილადაალებადი სითხის გვირთის სახით მიღება აკრძალულია:

ა) სამგზავრო და საგვირთო-სამგზავრო გემებზე;

ბ) საგვირთო გემებზე, თუ ისინი ბორტზე ღებულობენ მგზავრებს.

6. გემებს, რომლებსაც გადააქვთ 3.1. და 3.2 ქვეკლასის ადვილადაალებადი სითხეები ეკრძალებათ რაიმე სახის საბუქსირე სამუშაოების წარმოება.

7. ადვილადაალებად სითხეებთან ან გარასთან დაკავშირებული დაგვირთვა-გადმოგვირთვის სამუშაოების ღამით წარმოება გემებსა და ნაპირზე, დასაშვებია როგორც გამონაკლისი, ნავსადგურის ადმინისტრაციის ნებართვით შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სამუშაო ადგილების განათება უნდა იყოს არანაკლებ 45 ლუქსისა;

ბ) განათების დონის უზრუნველყოფა ხდება პროექტორებით, რომლებიც სამუშაო ადგილიდან დაშორებულია არანაკლებ 50 მეტრით, ასევე გადასაგანი განათებით ფეთქებადუსაფრთხო ფარნების გამოყენებით.

8. გარაში განთავსებული გვირთის აწვევა და დაშვება საგვირთო ოპერაციების მიმდინარეობისას უნდა ხდებოდეს მღორედ, ბიძგებისა და გვირთის ერთმანეთზე ან გემის ბორტზე დარტყმის გარეშე. ადგილებში, სადაც დარტყმებია მოსალოდნელი საჭიროა ფარებისა და საგებების განთავსება.

9. 3.1 და 3.2 კლაშის ადვილადაალებადი სითხეებით სავსე კასრების საგვიროთო ოპერაციებისას, არ შეიძლება წყვილკავის გამოყენება.

10. აღნიშნული ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისას გამოიყენება ქერელის ან სხვა მასალის თოკისაგან დამზადებული ბადე.

11. ტარაში დატვირთული ადვილადაალებადი სითხეებით გემის ტრიუმებში შესვლა დასაშვებია მხოლოდ მათი განიავების შემდეგ არაფეთქებადსაშიში ხელის აკუმულატორიანი ფარნით და რემინის ფეხსაცმლით.

12. ცარიელი ტარა ზღვით გადაზიდვამდე ადვილადაალებადი სითხეებისაგან კარგად უნდა გაიწმინდოს ტვირთის გამგზავნის მიერ. ტარის სრული გაწმენდა ტვირთის გამგზავნა უნდა დაადასტუროს განსაკუთრებული ხელწერით, რომელიც თან ერთვის საგვიროთო ორდერს ან ბედნადებს. ასეთ შემთხვევაში ადვილადაალებადი სითხეების ტარით გადაზიდვა ხდება ისევე, როგორც ჩვეულებრივი ტვირთის.

13. იმ შემთხვევაში, თუ ტარა სრულად არაა გაწმენდილი, მისი გადაზიდვა უნდა მოხდეს ისევე, როგორც მასში განთავსებული ტვირთისა.

14. საგვიროთო ორდერში ან ბედნადებში, რომელიც თან ახლავს ტარას, გრაფაში ტვირთის დასახელება წითლად უნდა აღინიშნოს თუ რომელი ტვირთი იქნა გადატანილი ამ ტარით.

15. აღნიშნული მუხლის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტვირთის გამგზავნს.

თავი 10. სამგზავრო ოპერაციები

მუხლი 54. ზოგადი დებულებები

სამგზავრო გემების დამუშავება ხდება მხოლოდ სამგზავრო ნავმისადგომებზე.

მგზავრების გადაყვანას აკვატორიაში და რეიდზე ახორციელებენ სანავსადგურო ფლოტის გემები.

გემზე, საკლასიფიკაციო სამოგალოების მიერ გაცემულ მოწმობაში მგზავრთა აღნიშნული რაოდენობის გადამეტება, აკრძალულია.

სამგზავრო გემების, საზღვაო სამგზავრო სადგურში დაყენებისას, მორიგე უნდა უზრუნველყოს გარეშე პირთა არყოფნა მისაბმელი ბაგირის სიახლოვეს. დამხდურები და გამცილებლები უნდა იმყოფებოდნენ გამყოფი ხაზის მიღმა.

ნავმისადგომებზე, მგზავრთა ჩასხდომის და გადმოსვლის ადგილებზე უნდა მოეწყოს სათანადოდ აღჭურვილი პოსტები, წყალში ჩაყარდნითათვის დახმარების აღმოსაჩენად.

სამგზავრო გემებზე, საზღვაო სამგზავრო სადგურებში გამოსაჩენ ადგილას უნდა ეკიდოს მგზავრთა მოქცევის წესები გემში ჩასხდომისას და გადმოსვლისას.

ნავმისადგომებზე, მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის ადგილას და გემის ტრაპთან უნდა მოეწყოს სავახგო სამსახური, მზადყოფნაში ინახებოდეს სამაშველო საშუალებები დახმარების აღმოსაჩენად.

ეკიპაჟის წევრთა, მათი ოჯახების, თანამდებობის პირების გადმოსხმა რეიდზე მდგომი გემიდან ნაპირზე ხორციელდება სადისპეტჩერო სამსახურის მიერ გამოყოფილი სამგზავრო კატარლით.

9. პასუხისმგებლობა მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის ორგანიზაციაზე ნაპირზე ეკისრება საზღვაო სამგზავრო სადგურის უფროსს, ხოლო გემზე ეკისრება გემის კაპიტანს. გემთფლობელები, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანას, ასევე სანაპირო სამგზავრო ნაგებობათა მეპატრონეები, ვალდებული არიან უზრუნველყონ მგზავრთა უსაფრთხოება და მოხერხებული ჩასხდომა-გადმოსხდომა.

10. გემებს, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანას ეკრძალებათ გვირთის თუ ხელბარგის სახით ფეთქებადი, ადვილად აალებადი და სხვა საშიში გვირთის გადატანა, რომელთა ჩამონათვალი დამტკიცებულია განსაკუთრებული წესებით.

11. საზღვაო სამგზავრო სადგური უნდა შედგებოდეს საზოგადოებრივი, სამსახურეობრივი, ოპერატიული სამსახურის, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო სათავსოებისაგან, მოწყობილი და აღჭურვილი უნდა იყოს სასაზღვრო საბაჟო, სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის განსახორციელებლად, ასევე უნდა არსებობდეს მგზავრთა დასვენებისა და კვებისათვის განკუთვნილი შენობები.

12. ბილეთებისა და გვირთის სალაროებთან უნდა გაიკრას გემების მოძრაობის განრიგი, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანასა და გვირთის გადატანას, აგრეთვე განცხადება სამგზავრო და საგვირთო სალაროების მუშაობის დროის და ბილეთის შექმნის წესის და გემზე თავისუფალი ადგილების არსებობის შესახებ.

13. საზღვაო სამგზავრო სადგურის სათავსოებში, მიმოსვლის გზებზე და ნავმისადგომზე უნდა არსებობდეს სპეციალური წარწერები და აღნიშვნები, მუდმივად ან პერიოდულად მოქმედი ინდივიდუალური და კომპლექსური მაჩვენებლები. საზღვაო სამგზავრო სადგურში უნდა მუშაობდეს ცნობათა ბიურო.

14. სამგზავრო რაიონის ტერიტორიაზე, მისასვლელ გზებსა და ნავმისადგომებზე უნდა იყოს წესრიგი და სისუფთავე.

სამგზავრო რაიონში დღე-ღამის ბნელ პერიოდში უნდა არსებობდეს საკმარისი განათება. ამასთან, განათებამ ხელი არ უნდა შეუშალოს გემთწამყვანებს გემის მიბმის ოპერაციის განხორციელებაში.

მგზავრთა გევალობის ნორმის გადამეტებით ბილეთების გაყიდვა აკრძალულია.

გაყიდული ბილეთების რაოდენობაზე პასუხს აგებს საზღვაო სამგზავრო სადგურის უფროსი.

თავისუფალი ადგილების არსებობის შესახებ ნავსადგურთა შორის ინფორმაციის სისწორეზე პასუხს აგებს გემის კაპიტანი.

გემის კაპიტანი, რომელსაც მგზავრები გადაჰყავს, ვალდებულია:

უმრუნველყოს გემის დროული მომზადება მგზავრთა ჩასხდომისათვის;

ჩასხდომის დაწყებამდე მოამზადოს მგზავრთა მიღებითა და მომსახურებით დაკავებული სამსახურები.

საზღვაო სამგზავრო სადგურის უფროსის მორიგე თანაშემწე ვალდებულია ჩასხდომის დაწყებამდე გადასცეს გემის კაპიტანს თანაშემწეს სამგზავრო დარგში დადგენილი ფორმის საბუთი გაყიდული ბილეთების შესახებ დანიშნულების ნავსადგურების მიხედვით. აღნიშნული საბუთის ასლი გადაეცემა ასევე ნავსადგურის კაპიტანს.

გემზე დაიშვებიან მხოლოდ სამგზავრო ბილეთების მქონე პირები. საჭიროების შემთხვევაში (ქალებისა და ბავშვების, ინვალიდების, ავადმყოფების და სხვა) აღმინისგრაცია გემზე ასვლის ნებართვას აძლევს გამცილებლებს.

მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას უნდა ესწრებოდნენ სადგურის აღმინისგრაციისა და ნავსადგურის კაპიტანის სამსახურის წარმომადგენლები.

მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომაზე უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს ნავსადგურის კაპიტანის სამსახურის წარმომადგენელი, რომელსაც უფლება აქვს ნავსადგურიდან ჩასხდომა-გადმოსხდომაზე პასუხისმგებელ პირს, ასევე გემის კაპიტანს მისცეს მითითება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის ოპერაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში კი შეაჩეროს იგი.

გემიდან მგზავრების გადმოსვლა დასაშვებია მხოლოდ სანიტარულ-საკარანტინო სამსახურის ნებართვით.

25. მგზავრთა გადმოსვლა და ასვლა, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს ორი ცალმხრივი მოძრაობის გრაპით. გრაპთან ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა არსებობდეს მაჩვენებელი წარწერით “ასასვლელი” და “ჩამოსასვლელი”. შესაბამისი გრაპებით ჩასხდომისას და გადმოსხმისას მოძრაობას უნდა არეგულირებდეს გემის კაპიტანის თანაშემწე სამგზავრო ნაწილში.

თავი 11. შენობების, სანავსადგურო ნაგებობებისა და მოწყობილობების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და სანავიგაციო აღჭურვილობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის წესები

მუხლი 55. ზოგადი დებულებები

ობიექტების მშენებლობა ნავსადგურის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა ორგანიზაციას, რომელიც ნავსადგურის ტერიტორიაზე აწარმოებს მშენებლობას ეკრძალება:

სამშენებლო მასალებით, დეგალებით, ფორმებით, ბლოკებითა და ნაგვით ნავმისადგომების, გზების, სატვირთო მაგიდა-რამპების, სახანძრო მისასვლელებისა და საგუშაგოების, სანაპირო ხაზის, მისაბმელი მოწყობილობების ჩახერგვა.

ნავსადგურის აკვატორიის დანაგვიანება და დაჭუჭყიანება.

ნავსადგურისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ორგანიზაციებმა, რომლებიც აწარმოებდნენ აღნიშნულ სამუშაოს უნდა უზრუნველყონ საკუთარი ძალებით და ხარჯით, ნავსადგურის ტერიტორიიდან დარჩენილი, გამოუყენებელი მასალების, დეგალების, ნარჩენების გაგანა, ტერიტორიის სათანადო მდგომარეობაში მოყვანა და კეთილმოწყობა.

დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც სურვილი აქვთ აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები, ვალდებული არიან შესაბამის ორგანიზაციებს მიაწოდონ სამშენებლო სამუშაოების ჩაგარების პროექტის სრული კომპლექტი.

5. ორგანიზაციები და პირები, რომლებიც ნავსადგურში აწარმოებენ მშენებლობას და სხვა სამუშაოებს, რომელთა შესახებ მონაცემები შეგანილ უნდა იქნეს ნაოსნობის სახელმძღვანელოებში და აღინიშნოს რუქებზე, ვალდებული არიან ნავსადგურის კაპიტანს გადასცენ მასალები სანავიგაციო სახელმძღვანელოთა შემდგომი კორექტირებისათვის.

სამუშაოთა უნებართვოდ დაწყების შემთხვევაში ორგანიზაციები და პირები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 56. შენობების, სანავსადგურო ნაგებობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაცია

1. ხელახლა აგებული და რეკონსტრუირებული შენობების, ნაგებობების და მოწყობილობების საექსპლუატაციოდ გადაცემა ხდება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ, საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციის მონაწილეობით.

ნავსადგურში არსებული შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს ექსპლუატაციის ტექნიკური წესების მკაცრი დაცვით, რომელიც შემუშავებულია ცალკეული სახეობის შენობის, ნაგებობის, მოწყობილობის, თუ სხვა ობიექტისათვის. ეს ობიექტები უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, ხდებოდეს მათი სისტემატური დათვალიერება და რემონტი.

მუხლი 57. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებანი

ნავსადგურის ჰიდროტექნიკური, სანავსადგომო და სხვა ნაგებობები მუდმივად უნდა იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში და გამოიყენებოდეს ამ ნაგებობათა ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დაცვით.

გემის ნავმისადგომთან მისვლამდე გემის ბორცებიდან უნდა ალაგდეს ყველა შვერილი და დამაგრდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს ნავსადგომისა და მასზე არსებული მოწყობილობების დაზიანება.

გემის მიბმისას გემის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 0,3 მ/წმ (0,6 საზღვაო კვანძი) და ნავმისადგომთან მიდგომის კუთხე უნდა იყოს მაქსიმალურად მიახლოებული ნოლთან.

4. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მე-3 პუნქტის შესრულება შეუძლებელია, გემის კაპიტანი ყველა ღონეს ხმარობს ნავმისადგომის დაზიანებისა და ძირის გამორეცხვის თავიდან ასაცილებლად.

5. გემის მიბმის ოპერაციის მიმდინარეობისას უნდა გაგარდეს ღონისძიებები გემის კორპუსის ნავმისადგომის კონსტრუქციასთან შეხების თავიდან ასაცილებლად, თუ ეს უკანასკნელი არ არის დაცული ამრიგი მოწყობილობებით და სათანადოდ არ არის გამოყენებული დამცავი ბალიშები.

6. 5000 ტონაზე მეტი წყალწყვის გემებს ეკრძალება ორზე მეტი მისაბმელი ბაგირის დამაგრება ნავმისადგომის ერთ ბოძვინგზე.

7. ხიმიჩების ნავმისადგომთან გემის მიბმისას გარე მხარეს გემის დახრა ხიმიჩების დაზიანების საფრთხის გამო, დაუშვებელია.

8. აკრძალულია ამუშავებული ხრახნით საგემსაბმელო გამოცდის წარმოება ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მახლობლად, თუ ეს ნაგებობები არ გამოიყენება აღნიშნული დანიშნულებით.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც გემის ნავმისადგომიდან გასვლა ხდება ბუქსირის გარეშე, ძრავებმა უნდა იმუშაონ ყველაზე ნელი სვლით, ვიდრე გემის ბორტი ნავმისადგომს არ მოსცილდება 10 მეტრით მაინც.

10. თუ გემს არ შეუძლია დამოუკიდებლად მანევრის ჩატარება, საჭიროა აუცილებლად მოწვეულ იქნას მებუქსირე გემი.

11. გემის კაპიტანი, რომელმაც დააზიანა ჰიდროტექნიკური ნაგებობა, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ნავსადგურის ადმინისტრაციას და ნავსადგურის კაპიტანს.

12. გემის მიერ ნავმისადგომის ან სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში უნდა შედგეს აქტი ნავსადგურის ტექნიკური განყოფილების, ნავსადგურის კაპიტანის მონაწილეობით და გემთფლობელთა მიერ დანიშნული სურვეიერების მონაწილეობით.

13. ყველა გემი ნავსადგურის აკვატორიაში და რეიდზე ნაოსნობისა და დგომისას ვალდებულია მკაცრად დაემორჩილოს ნავსადგურში მიღებულ წესებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გემების უსაფრთხოება, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, სანავსადგურო შენობისა და სანავიგაციო აღჭურვილობის დაცვა.

მუხლი 58. სანავიგაციო აღჭურვილობა

1. ნავსადგურთან მისასვლელ გზებზე (არხებში) და შიდა აკვატორიაში სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებები გარეგნული სახით, შეფერილობით, შუქების თავისებურებებითა და განლაგების ადგილით უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სანავიგაციო შემომლობების სისტემას (მარცხენა წითელი "A").

2. ნავსადგურის აკვატორიაში, მასთან მიმდებარე სანაპირო ზოლში და საზღვარზე, რომელიც დაინგერესებული უწყებების მიერ არის დადგენილი, სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებები უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ მეპატრონეს.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო-სამხედრო ძალების ჰიდროგრაფიული სამართველოს, საქართველოს საზღვაო გრანსპორტის ადმინისტრაციის და ნავსადგურის კაპიტანის ნებართვის გარეშე, ნავსადგურის აკვატორიაში აკრძალულია:

ა) რაიმე სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებათა დადგმა, მოხსნა ან გადაადგილება;

ბ) რაიმე შუქების დაყენება მნათი სანაპირო და მცურავ სანავიგაციო საშუალებათა მოქმედების ზონაში;

გ) გვირთის დაწყობა ამოსაცნობი, სანავსადგურო-სანავიგაციო საკვეთი სასაგდულე ნიშნების მოქმედების ზონაში.

4. სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებათა მოქმედების ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს მღვაოსანთა უწყებებში.

5. ნავიგაციის ხელშემშლელი, სანავსადგურო წყლებში ჩაძირული ქონების (გემები, მცურავი აღჭურვილობა და სხვა.) ამოღების წარმოების რაიონები, უნდა აღინიშნოს სანავიგაციო შემომლობებით.

6. ნავსადგურის ადმინისტრაციასთან და იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც აწარმოებენ ფსკერმალრმავებელ სამუშაოებს და სანავიგაციო აღჭურვილობის დაყენებას, დადგენილი წესით შეთანხმების გარეშე, აკრძალულია ნავსადგურის მისასვლელებთან (არხები) და ნავსადგურის ტერიტორიაზე ხიდურის, საჰაერო საკაბელო, გადასასვლელების, ელექტრო და კავშირგაბმულობის ხაზების, მილსადენების გაყვანა და ასევე რადიო სისტემების აგება, სანაპირო რადიოსანავიგაციო ობიექტების მოქმედების ზონაში.

7. აკრძალულია სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებებისათვის ხელშემშლელი ყოველგვარი ქმედება. დაზიანების ფაქტები გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი, ხოლო დამნაშავეებმა უნდა აგონ პასუხი.

8. ყველა გემს, კაგარდას და კანჯოს ეკრძალება მცურავ შუქურასთან (ბუისთან) და სანავიგაციო აღჭურვილობის სხვა საშუალებებთან დადგომა.

9. ყველა გემთწამყვანი და ნავსადგურის თანამშრომელი სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებათა გაუმართაობის ან გადაადგილების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ ნავსადგურის კაპიტანს.

10. გემის ან ცალკეული პირის მიერ, სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებათა დაზიანების შემთხვევაში გემის კაპიტანი, სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებებზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია და ნავსადგურის კაპიტანი ადგენენ ერთობლივ აქტს დაზიანების შესახებ.

მუხლი 59. კაბელების და მილსადენების დაზიანების თავიდან აცილება

1. წყალქვეშა და მიწისქვეშა კაბელების, მილსადენებისა და სხვათა გაყვანასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩაგარებაზე ნებართვას გასცემს ნავსადგურის ადმინისტრაცია ნავსადგურის კაპიტანთან შეთანხმებით.

2. ორგანიზაცია, რომელმაც მიიღო ასეთი ნებართვა, სამუშაოთა დაწყებამდე ვალდებულია მიმართოს ნავსადგურის კაპიტანს მოსალოდნელი წყალქვეშა სამუშაოების შესახებ ნავსადგურის აკვატორიაში, ხოლო მოსალოდნელი მიწისქვეშა სამუშაოების შესახებ ნავსადგურის ტერიტორიაზე – ნავსადგურის შესაბამისი ტერმინალის (რაიონის) უფროსს.

3. წყალქვეშა კაბელები, მილსადენები და სხვა, რომელთა ჩადების სიღრმე ვერ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას ღუმის ჩაშვებისას, მექაგრონეთა მიერ შემოფარგლული უნდა იყოს დღისით კარგად ხილვადი, გამაფრთხილებელი ნიშნებით, ხოლო დღე-ღამის ბნელ პერიოდში – მნათი ნიშნებით.

4. სანაპირო და წყლის სივრცის გრასა, რომელზეც გაყვანილია მილსადენი, კაბელები და შემოფარგლულია გამაფრთხილებელი ნიშნებით, წარმოადგენს აკრძალულ უბანს.

5. აკრძალულ უბანზე აკრძალულია ღუმის ჩაშვება, თევზჭერა, ნაპირთან მიახლოება, გივის დაყენება, ხე-ტყის დაცურება და სხვა.

6. ღუმის იძულებითი ჩაშვებისას აკრძალულ უბანზე, აკრძალულია გემის საშუალებებით ღუმის ამოღება;

7. ღუმის იძულებითი ჩაშვების შესახებ აუცილებელია დაუყოვნებლივ ეცნობოს ნავსადგურის კაპიტანს და შემდგომში მოქმედება წარიმართოს მისი მითითებების შესაბამისად;

8. ღუმის ამოღებას უნდა ესწრებოდნენ ნავსადგურის წარმომადგენლები და კაბელის (მილსადენის) მექაგრონე.

9. მყვინთავთა მუშაობა ნავსადგურის აკვატორიაში შესაძლებელია მხოლოდ ნავსადგურის კაპიტანის ნებართვით.

10. საყვინთო სამუშაოების წარმოებისას, დღის ნათელ პერიოდში, გამოსაჩენ ადგილას მყვინთავთა გემზე უნდა აღიმართოს ორი ალამი "A" (ALFA) სიგნალების სარეთაშორისო კრებულის (IMCC) მიხედვით, ღამით კი – ირგვლივ მთელ ჰორიზონტზე ხილვადი ორი მწვანე შუქი ერთიმეორეზე ვერტიკალურად განლაგებული.

11. ასეთივე სიგნალები უნდა იყოს აღმართული გემზე, რომლის ბორტთანაც მიმდინარეობს საყვინთო სამუშაოები.

12. ყველა გემი, კაგარდა და კანჯო ვალდებულია საყვინთო სამუშაოების წარმოების ადგილთან გავლისას წინასწარ შეანელოს სიჩქარე დასაშვებ მღვარამდე და გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე;

13. ღუმის ჩაშვება დაშვებულია საყვინთო სამუშაოების წარმოების ადგილიდან არანაკლებ 200 მეტრით დაშორებაზე;

14. გემის მისვლა საყვინთო სამუშაოების წარმოების ადგილთან, მისი მიბმა მყვინთავთა გემზე ან გემზე, რომლის ბორტთანაც მიმდინარეობს საყვინთო სამუშაოები, აკრძალულია.

15. სანიჩბავი ხრახნის მუშაობა გემზე, რომლის ბორტთანაც მიმდინარეობს საყვინთო სამუშაოები აკრძალულია.

16. ნავსადგურის რაიონში, სადაც საყვინთო სამუშაო მიმდინარეობს, გემების გადაადგილებისას, ნავსადგურის მორიგე დისპეტჩერი ვალდებულია წინასწარ, და არა უგვიანეს 1 საათით ადრე, გააფრთხილოს ამის შესახებ მყვინთავთა გემი.

17. ნავსადგურის კაპიტანის მოთხოვნით საყვინთო სამუშაოები უნდა შეწყდეს.

მუხლი 60. სანავსადგურო წყლებში რადიოკავშირის საშუალებათა გამოყენების წესი

1. ყველა გემს, ნავსადგურში შესვლის, სანავსადგურო წყლებში ნაოსნობის, დგომის და ნავსადგურიდან გასვლისას ეკრძალება რადიოსაგელეფონო და რადიოსაგელეგრაფო დანადგარების გამოყენება, ულტრაშორტალღიანი რადიოსადგურის გარდა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები:

ა) როცა გემი საფრთხეშია ან გადასცემს ცნობას უბედურების თავიდან აცილების მიზნით.

ბ) თუ გემი დახმარებას უწევს საფრთხეში ჩავარდნილ სხვა გემს.

ნავსადგურის კაპიტანის სპეციალური ნებართვით.

2. სანავსადგური წყლებში ნაოსნობისას გემებს, რომელთაც გააჩნიათ ულტრამოკლეგალდიანი რადიოსადგური, ჩართული უნდა ჰქონდეთ იგი მიღებაზე 24 საათის განმავლობაში და ნაპირთან რადიოკავშირი იქონიონ შესაბამის სიხშირეებზე. (იხ. დანართი 6)

3. სანავსადგური წყლებში ნაოსნობისას ულტრამოკლეგალდიანი რადიოსადგურები უნდა მუშაობდნენ რადიოკავშირის წესების მკაცრად დაცვით.

4. სანაპირო რადიოსადგურები ვალდებული არიან კონკრული გაუწიონ გემების რადიოსადგურების მუშაობას სანავსადგური წყლებში.

თავი 12. ნავსადგურის გერიგორიაზე წესრიგის დამყარება, დაცვია და მოძრაობა

მუხლი 61. გამშვები სისტემა და ნავსადგურის დაცვა

ნავსადგურის დაცულ ნაწილში შესვლა ხდება ნავსადგურის ცენტრალური შესასვლელიდან, სანავთობე უბნის გერიგორიაზე – დამატებითი გასასვლელიდან, რომელიც მდებარეობს ნავსადგურის გერიგორიაზე სანავთობე უბანსა და მშრალი გვირგვინის რაიონს შორის.

საზღვარგარეთის გემების ეკიპაჟების წევრები ნავსადგურის გერიგორიაზე შედიან უცხოელ მებღვაურთათვის განკუთვნილი საკონკრეტო გამშვები პუნქტის გავლით.

ნავსადგურის, სანაოსნო კომპანიების, გემის აგენტების, ფორვარდერების, სურვეიერების, მსუბუქი ავტოგრანსპორტისა და მასში მსხლომი მგზავრების ნავსადგურის გერიგორიაზე შესვლა და ობიექტზე გადაადგილება ხდება სამსახურებრივი საშვის ან პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

4. მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კუთვნილი მსუბუქი ავტოგრანსპორტის და მოტოციკლების გერიგორიაზე შეშვება ხდება გამონაკლის შემთხვევაში, სპეციალური საშვით. ამ ავტომანქანების გერიგორიიდან გამოსვლისას, ისინი უნდა შემოწმდეს ნავსადგურის დაცვის სამსახურის მიერ, ხოლო საკონკრეტო გამშვებ პუნქტზე გასვლა ხორციელდება ზოგადი წესით.

5. სარკინიგზო თბომავლებმა ნავსადგურის გერიგორიაზე, განსაკუთრებით გადასასვლელებთან, უნდა იმოძრაონ ყველაზე ნელი სვლით, მოახლოების შესახებ კი აცხობინებენ საყვირით.

6. აკრძალულია ნავსადგურის გერიგორიაზე ალკოჰოლური სასმელების მოხმარება.

აკრძალულია პირუტყვისა და ფრინველის ნავსადგურის გერიგორიაზე შეყვანა-გამოყვანა, ასევე გემიდან გამოყვანა სათანადო ვეტერინალური დოკუმენტის გარეშე.

გემისათვის პროდუქტის შექენა ნებადართულია მხოლოდ სპეციალიზებული მომმარაგებელი ფირმის მეშვეობით.

გემის ეკიპაჟის ოჯახის წევრების შეშვება ნავსადგურის გერიგორიაზე ხდება ერთჯერადი საშვით, რომელიც გაიცემა ნავსადგურის საშვთა ბიუროში ნავსადგურში მდგარი გემის კაპიტანის ან მისი უფროსი თანაშემწის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული სიის საფუძველზე.

აკრძალულია საქართველოს ნავსადგურებში გემების დაცვა დაცვის კერძო სამსახურების მიერ

გემის ეკიპაჟის ოჯახის წევრების შეშვება ნავსადგურის გერიგორიაზე ხდება ერთჯერადი საშვით, რომელიც გაიცემა ნავსადგურის საშვთა ბიუროში ნავსადგურში მდგომი გემის კაპიტანის ან მისი უფროსი თანაშემწის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული სიის საფუძველზე

ნავსადგურების, გერმინალებისა და გემების დაცვის ორგანიზაციას ახორციელებს მხოლოდ საზღვაო ნავსადგურის დაცვის სამსახური “სანავსადგური ნავებობებისა და

გემების დაცვის საერთაშორისო კოდექსის” შესაბამისად. დაუშვებელია ამ ფუნქციების გადაცემა კერძო კომპანიებისათვის

11. ნავსადგურების, გერმინალებისა და გემების დაცვის შეფასებას ახორციელებს საქართველოს საზღვაო გრანსპორტის ადმინისტრაცია.

12. ნავსადგურებსა და გერმინალებს უნდა გააჩნდეთ სანავსადგურე ნაგებობებისა და გემების დაცვის ოპერატიული გეგმა, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს საზღვაო გრანსპორტის ადმინისტრაციასთან. ნავსადგურებსა და გერმინალებს აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად უნდა გააჩნდეთ საქართველოს საზღვაო გრანსპორტის ადმინისტრაციის მიერ გაცემული აღიარების მოწმობა “სანავსადგურე ნაგებობებისა და გემების დაცვის საერთაშორისო კოდექსის” შესაბამისად

მუხლი 62. გვირთის დაცვა

ნავსადგურის მიერ შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე შესანახად მიღებული და საწყობში განლაგებული გვირთის შენახვა უნდა უზრუნველყონ ნავსადგურის საწყობების მუშაკებმა.

გვირთის ან სხვა მაგერიალური ღირებულების მქონე საქონლის ნავსადგურის ნავმისადგომზე ან უბანზე დაგოვება ნებადართულია მხოლოდ ნავსადგურისათვის ამ გვირთის ჩაბარების შემთხვევაში. დადგენილი წესისამებრ, გვირთის ჩაუბარებლობის შემთხვევაში ნავსადგური მასზე პასუხს არ აგებს.

გვირთი, რომელიც დაცვის მიზნით უნდა ჩაბარდეს ნავსადგურის დაცვის სამსახურს უნდა იმყოფებოდეს გამართულ გარაში და დაწყობილი შტაბელებად, იმგვარად, რომ შეიძლებოდეს ადგილების რაოდენობის დათვლა.

საშიში გვირთის ნავსადგურში დამუშავებისას მისი დაცვა საგანგებოდ უნდა იყოს ორგანიზებული ნავსადგურის დაცვის სამსახურის უფროსის მიერ).

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც

ესაჭიროებათ თავისი სადარაჯო პოსტების შექმნა ნავსადგურის ტერიტორიაზე, ვალდებულნი არიან ამის შესახებ ნებართვა სთხოვონ ნავსადგურის ადმინისტრაციას და აღნიშნული პოსტების თანამდებრობივი ინსტრუქცია შეუთანხმონ ნავსადგურის დაცვის სამსახურის უფროსს.

მუხლი 63. ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა და გრანსპორტის დგომა

გრანსპორტის ყველა სახეობის მოძრაობა და დგომა, ასევე ქვეითადმოსიარულეთა მოძრაობა ნავსადგურის ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს გზებზე მოძრაობის წესების მიხედვით.

ავტომანქანების მძღოლები ვალდებულნი არიან განახორციელონ მოძრაობა მხოლოდ ნავსადგურის ადმინისტრაციის მიერ მითითებული გზის სავალ ნაწილზე, სათანადო ადგილებზე უნდა დაიდგას ქვეითადმოსიარულეთა მოძრაობის მიმართულების ნიშნები.

ნავსადგურის მთელ ტერიტორიაზე, (იქ სადაც ამას ხელს არ უშლის განსაკუთრებული პირობები) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორმხრივი მოძრაობა.

სარკინიგზო და ამწეთა ლიანდაგებზე გრანსპორტისა და ქვეითადმოსიარულეთა გადასვლა დაშვებულია ამისათვის სპეციალურად აღნიშნულ გადასასვლელებზე, გადასასვლელების მჭიდროდ ჩახერგვა ვაგონებით აკრძალულია. დაუშვებელია გადასასვლელების მოწყობა სარკინიგზო ლიანდაგების და საავტომობილო გზის გადამკვეთი უბნის სიახლოვეს.

დამის პერიოდში გრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია მხოლოდ გზების სათანადო განათების შემთხვევაში.

ნავსადგურის გერიგორიაზე დადგენილია გრანსპორტის მოძრაობის შემდეგი სიჩქარე:

- ა) მსუბუქი ავტოგრანსპორტისათვის – 30 კმ/სთ;
- ბ) სატვირთო ავტოგრანსპორტისათვის – 20 კმ/სთ;
- გ) სათვირთო სამუშაოების წარმოებისას ავტოსატვირთელი და სხვა სპეციალური სახის გრანსპორტისათვის – 6 კმ/სთ.
- დ) სარკინიგზო გრანსპორტისათვის – არაუმეტეს 5 კმ/სთ.

7. წინა პუნქტში მოცემული სიჩქარე უნდა შემცირდეს:

ა) ქვეითადმოსიარულეთა გადასასვლელებსა და გრანსპორტის შეჯგუფების ადგილებში;

ბ) ადგილებზე, სადაც არსებობს ნიშანი “ნელი სვლა;

გზების სამუშაოების მიმდინარეობის ადგილას;

გზაჯვარედინებზე;

ე) ცუდად განათებულ უბნებში;

ვ) ცუდი ამინდის პირობებში (ლიპყინული, წვიმა, ბურუსი, ქარბუქი და სხვა).

8. ფხვიერი, მგვრიანი გვირთის გაღამიდვისას (წვრილი ქვანახშირი, ცემენტი, სილა, სამშენებლო ნაგავი, ფქვილი კირქვა და სხვა) ავტომანქანისა და საზიდის შიგა ნაწილში დაფენილი, ხოლო გვირთზე საიმედოდ გადაფარებული უნდა იყოს ბრემენტი.

9. ავტოგრანსპორტის გაჩერება ნებადართულია მხოლოდ მინიშნებულ ადგილებზე. გზებზე, გადასასვლელებზე, სახანძრო მისასვლელებსა და სპეციალურად აღნიშნულ გზის სხვა მონაკვეთებზე გაჩერება აკრძალულია.

მუხლი 64. ნავსადგურის გერიგორიაზე წესრიგის შესახებ

ნავსადგურის საზღვრებში აკრძალულია:

ა) სამოგადობრივი წესრიგის დარღვევა ნავსადგურის გერიგორიასა და სამსახურეობრივ შენობებში;

ბ) მოწვევა, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა;

გ) ღია ცეცხლით სარგებლობა ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ნებართვის გარეშე.

2. ნავსადგურის ელექტროქსელში, ასევე წყალგაყვანილობებისა და გათბობის სისტემაში ჩართვა დასაშვებია მხოლოდ ნავსადგურის ადმინისტრაციის ნებართვის საფუძველზე.

3. რემონტის მიზნით ან სხვა დანიშნულებით, ნებისმიერი მცურავი საშუალების ნაპირზე ან ნავსადგომზე ამოგანა ან დაყენება დასაშვებია მხოლოდ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ნავსადგურის ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

4. ყველა ნავმისადგომზე თვალსაჩინოდ უნდა ეკიდოს მაშველი რგოლები ან ბურთები, რომელთა სამაშველო თოკების სიგრძე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 27,5 მეტრს.

5. ორგანიზაციები, რომლებიც ნავსადგურის გერიგორიაზე იჯარით სარგებლობენ საწყობებით, შენობებით, ნაგებობებით, და მოწყობილობებით, ვალდებული არიან ეს ობიექტები შეინახონ სათანადოდ გამართულ მდგომარეობაში და შეასრულონ ნავსადგურის ადმინისტრაციის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის და სანიგარულ-საკარანტინო სამსახურის მოთხოვნები ამ მიმართებით.

6. ნავსადგურის ნავმისადგომიდან, მოლიდან, მღვაში ბანაობა აკრძალულია.

7. ყველა ნავმისადგომზე თვალსაჩინოდ უნდა ეკიდოს მაშველი რგოლები ან კორპის ბურთები, რომელთა სამაშველო თოკების სიგრძე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 27,5 მეტრს.

8. ნავსადგურში მყოფი გემების შეღებვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ბომები ნავმისადგომის დასვრის თავიდან ასაცილებლად.

9. ნავსადგურის ტერიტორიაზე ვაჭრობა დაშვებულია მხოლოდ მაღაზიებში, პავილიონებსა და კიოსკებში (ჯიხურებში), ნავსადგურის ადმინისტრაციის ნებართვით და ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

10. ნავსადგურში ექსკურსია დაშვებულია მხოლოდ ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსის ნებართვით.

11. ნავსადგურის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია ნავსადგურის ხელმძღვანელობის ან გასამხედროებული დაცვის წარმომადგენელთა მოთხოვნისთანავე წარმოადგინოს პირადობისა და ნავსადგურის ტერიტორიაზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თავი 13. ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი ნავსადგურში

მუხლი 65. ნავსადგურის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის ორგანიზაციულ-გექნიკური საფუძვლები

1. ნავსადგურისა და გემების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველია ხანძარსაწინააღმდეგო წესების მკაცრი და ბუსტი შესრულება.

2. ნავსადგურში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ყველა მოთხოვნა აუცილებლად შესასრულებელია ნავსადგურის ტერიტორიასა და აკვატორიაში მყოფი ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებისა თუ პირისათვის. ეს მოთხოვნები უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ.

3. გემის ეკიპაჟის მიერ სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულებაზე გედამხედველობას ახორციელებს ნავსადგურის კაპიტანის სამსახური.

4. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ნავსადგურის ტერიტორიაზე არის ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსი.

5. ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის ყველა მოთხოვნის დროულ შესრულებაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტერმინალის (რაიონების), ნავმისადგომების, საწყობების, უბნების უფროსებს, გემის კაპიტანებს და ნავსადგურის სხვა ობიექტების ხელმძღვანელებს.

6. გემზე ან ნავსადგურის ტერიტორიაზე ხანძრის ჩასაქრობად ნავსადგურის ადმინისტრაციას უფლება აქვს მოიხმოს ხალხი, გამოიყენოს ნავსადგურში მყოფი ნებისმიერი ორგანიზაციის და გემის კუთვნილი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალება.

მუხლი 66. სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებანი ხანაპირო ობიექტებზე და ნავსადგურში მდგომ გემებზე

1. ნავსადგურის ტერიტორიაზე და გემებზე მყოფი პირების მიერ ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახანძრო დაცვას გელეფონით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით, მუსტად მიეთითოს ხანძრის გაჩენის ადგილი და ყველა ღონე იხმარონ მისი ლიკვიდაციისათვის.

2. პირველი გემი, რომელიც ნავსადგურის ტერიტორიაზე ან სხვა გემზე შენიშნავს ხანძარს, ვალდებულია მისცეს განგაშის სიგნალი – ხშირი დარტყმები გემის ბარზე ან ხშირი მოკლე სიგნალი გემის საყვირით ერთი წუთის განმავლობაში.

3. ნავსადგურში ან გემებზე ხანძრის გაჩენისას ყველა გემი ამზადებს ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა სამაშველო საშუალებებს დაუყოვნებლივ გამოსაყენებლად და მოქმედ მზადყოფნაში მოჰყავს ძრავები სხვა გემებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით მღვაში გასასვლელად.

4. სახანძრო მებუქსირე საშუალებები დანიშნულების ადგილზე მიდიან დაუყონებლივ, განსაკუთრებული გამოძახების გარეშე და გადადიან ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის განკარგულებაში.

5. აკრძალულია არადეგამირებული ან ნავთობით, ნავთობპროდუქტებითა და ქიმიური პროდუქტებით დაგვირთული გემების მშრალი გვირთის ნავმისადგომთან დაყენება, ასევე აკრძალულია მშრალი გვირთიგვირთი გემების დაყენება სანავთობე ნავმისადგომებთან.

6. ნავთობსასხმელი გემების მშრალი გვირთის ნავმისადგომთან დაყენება შესაძლებელია გემის განკეების სრული დეგამაციის შემდეგ. დეგამაციის აქტი გადაეცემა ნავსადგურის კაპიტანს.

7. მოწვევა ნავსადგურის ტერიტორიაზე და ნავსადგურში გაჩერებულ გემებზე აკრძალულია. მოწვევა დასაშვებია მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სადაც არსებობს წყლიანი ურნა ნამწვავებისათვის და გამოკრულია წარწერა (მოსაწევი ადგილი).

8. შეღულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაო ნავსადგურის ტერიტორიაზე, მის ობიექტებზე და გემებზე სახანძრო დაცვასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

9. ავტოგრანსპორტი რომელსაც გადააქვს ცეცხლსაშიში გვირთი ალკურვილი უნდა იყოს ერთი ცეცხლსაქრობით და ნაპერწკალსაქრობით მაინც. აღნიშნული მოწყობილობის გარეშე მანქანა ნავსადგურში არ დაიშვება.

10. რაკეტებისა და სხვა სასიგნალო საშუალებების (ფელშფერების) ნავსადგურის ტერიტორიაზე გამოყენება, ავარიული შემთხვევების გარდა, აკრძალულია.

11. სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი წესების შეუსრულებლობაში დამნაშავე პირები, ასევე პირები, რომლებმაც არ განახორციელეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, პასუხს აგებენ არსებული კანონმდებლობების შესაბამისად.

12. ტანკერების მომსახურებით დაკავებულ ყველა სანავსადგურო გემს უნდა გააჩნდეს ტანკერთან მისვლის უფლების საკლასიფიკაციო საზოგადოების სპეციალური მოწმობა.

13. აკვატორიაში აღმოდებული ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში ყველა გემი გადის ნავსადგურიდან უსაფრთხო ადგილას, გარდა ხანძრის ჩაქრობაში უშუალოდ მონაწილე გემებისა.

მუხლი 67. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობა

1. ნავსადგურში ხანძრის გაჩენისას, ჩაქრობის ხელმძღვანელობა, ხალხისა და ქონების ევაკუაცია სახანძრო რაზმის მოსვლამდე ეკისრება ამ ობიექტის ხელმძღვანელს. საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია ხანძართან ახლოს მყოფი მოხალისე მეხანძრეთა რაზმების, გემების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დახმარების გამოყენება.

2. ხანძარზე მოსულ უფროს მეხანძრე ხელმძღვანელს შეუძლია თავის თავზე აიღოს ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის ჩაბარების მომენტად ითვლება მის მიერ ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული პირველი განკარგულების გაცემა.

3. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის წარმომადგენელთა ხანძრის ადგილზე მისვლისთანავე, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობა ეკისრება უფროსი რანგის მეხანძრეს.

4. გემზე ხანძრის გაჩენიდან მის საბოლოო ლიკვიდაციამდე ხელმძღვანელობას ახორციელებს ავარიული გემის კაპიტანი ან მისი შემცვლელი პირი. აღნიშნული პირები ვალდებული არიან გამოაცხადონ გემზე საერთო განგაში, მისცენ სიგნალი სახანძრო

განგაშის შესახებ და ორგანიზებულად, გემზე არსებული ძალებისა და საშუალებების, ასევე შორიხლოს მდგომი გემებისა და ნაპირიდან დასახმარებლად მოსული საშუალებების გამოყენებით ყოველი ღონე იხმარონ ხანძრის ჩასაქრობად.

5. ხანძარზე მოსული ხელმძღვანელი ჩინის მეხანძრე ითვლება ავარიული გემის კაპიტნის (მისი შემცვლელი პირის) კონსულტანტად, ამავდროულად ასრულებს მის უშუალო მოვალეობებს, ხელმძღვანელობს ქვეშევრდომთა მოქმედებებს და ტექნიკის გამოყენებას ხანძრის ჩაქრობისას.

6. გამონაკლისის სახით გემზე ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობა შეიძლება დაეკისროს უფროს მეხანძრეს გემთმფლობელის განკარგულებით, ან ავარიული გემის კაპიტნის (მისი შემცვლელი პირის) თხოვნის საფუძველზე.

7. თუ ხანძარი წარმოიშვა გემზე, რომელმაც არ არის ეკიპაჟი, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელობას ახორციელებს ავარიულ გემზე მოსული უფროსი ხელმძღვანელი მეხანძრე.

მუხლი 68. სახანძრო უსაფრთხოება ნავსადგურის ტერიტორიასა და მის ობიექტებზე

1. ხანძრის თავიდან აცილების უზრუნველყოფა ნავსადგურში შესაძლებელია ნავსადგურის ტერიტორიაზე და მის ობიექტებზე ტვირთის გადაზიდვის, დაწყობის, შენახვისა და სხვა სახეობის ტვირთის გადამუშავებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ყველა წესის სრული დაცვით.

2. ნავსადგურის საწყობებში, სამსახურეობრივ, ადმინისტრაციულ შენობებში და სხვა ობიექტებზე თვალსაჩინო ადგილას უნდა ეკიდოს მოქმედი წესებისა და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით შედგენილი სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, ასევე ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაზე პასუხისმგებელი პირის გვარი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა ჩამონათვალი და სახანძრო რაზმის ტელეფონის ნომერი (იგი აღნიშნული უნდა იყოს ნავსადგურის ყველა ტელეფონის აპარატთან). ინსტრუქციას უნდა გაეცნოს ობიექტზე მომუშავე ყველა მუშა-მოსამსახურე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ნავსადგურის ყველა ობიექტი აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობითა და საშუალებებით ნორმის ფარგლებში და ინახებოდეს გამართული სახით თვალსაჩინო, ადვილად მისაწვდომ ადგილას, რომელთა არამიზნობრივი გამოყენება აკრძალულია.

4. ნავსადგურის შენობა-ნაგებობებთან, საწყობებთან და სხვა ობიექტებთან მისასვლელი უნდა იყოს თავისუფალი, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო დაშორება და ბაქნები აღნიშნულ ობიექტებს შორის უნდა იყოს თავისუფალი.

5. ყველა სახანძრო მისასვლელი თუ გასასვლელი, სავალი გზები და გადასასვლელები უნდა იყოს მოწესრიგებული, დროულად გაიწმინდოს თოვლისა და ნაგვისაგან, ღამით იყოს განათებული.

6. სახანძრო წყალგაყვანილობა და სახანძრო ონკანები, სახანძრო სახელოები და ლულები მუდმივად უნდა იმყოფებოდეს წესრიგში, სახანძრო წყალსატევები და კასრები – სავსე, ხოლო ყუთებში ეყაროს სილა.

7. ნავმისადგომები გემების დგომის ადგილებში აღჭურვილი უნდა იყოს საერთაშორისო “ნაპირი” გიჟის გამართული გადამსვლელი შემაერთებლით, რომელიც უზრუნველყოფს მასთან გემის საერთაშორისო “გემი” გიჟის გადამსვლელი შემაერთებლის მიერთებას ხანძრის შემთხვევაში, წყლის მიწოდების მიზნით.

8. ნავსადგურის ტერიტორიასა და მის ობიექტებზე ღია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო, როგორცაა ელექტროშედულება, გაზის საჭრელი, და სხვა წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ნავსადგურის სახანძრო დაცვას.

9. შესადულებელი სამუშაოების შესრულება დაშვებულია მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაცული იქნება სახანძრო დაცვის და აღნიშნული ობიექტის ხელმძღვანელის მითითებანი.

10. ღია ცეცხლის გამოყენება სამუშაოებზე, რომელიც დაკავშირებულია გვირთის დამაგრებასა და გემის რემონტთან, უნდა მოხდეს საგვირთო ოპერაციების დაწყებამდე და გემის მიერ საწვავის აღებამდე.

11. ყოველგვარი ელექტროხელსაწყო, გაზის ღუმელის და სხვა გასათბობი მოწყობილობის გამოყენება ნავსადგურის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ნებართვით.

12. ღუმელის გახურება უნდა დაევალოს სპეციალურად დანიშნულ პირს, რომელსაც გავლილი აქვს ინსტრუქტაჟი და მუდმივად იმყოფება ღუმელთან. ღუმელების გახურება უნდა შეწყდეს არა უგვიანეს 2 საათით ადრე სამუშაო დროის დამთავრებამდე.

13. თბომავალში საწვავის ჩასხმა ხდება ნავსადგურის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან შეთანხმებით სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას.

14. ყველა საწარმოო, სამსახურებრივ და სასაწყობე შენობა-ნაგებობაში დაშვებულია მხოლოდ ელექტრო განათება.

15. ყველა ელექტროხელსაწყო და მოწყობილობა (გარე და შიდა) უნდა აკმაყოფილებდეს ელექტროტექნიკურ ნორმებს და მოთხოვნებს.

16. გაუმართავი ელექტრომოწყობილობა დაუყოვნებლივ უნდა გამოირთოს სრულ შეკეთებამდე.

17. სამუშაოს დასრულების შემდეგ პასუხისმგებელი პირები ყოველდღიურად უნდა ამოწმებდნენ ყველა სამსახურებრივ და სასაწყობე შენობას.

18. შენობებში, რომლებიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ იკეტება და აღარ მოწმდება, ელექტროაღჭურვილობა მთლიანად უნდა გამოირთოს, ღუმელში ცეცხლი ჩაქრეს და გადაესხას წყალი.

19. ნავსადგურის ტერიტორიაზე ადვილად აღებადი და საწვავი სითხის, სხვა ხანძარსაშიში გვირთის ცარიელი ცისტერნებისა და ვაგონების გაჩერება ნავსადგურის სახანძრო დაცვის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

მუხლი 69. ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი ნავთობგერმინალებზე

1. ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი ნავთობგერმინალებზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახანძრო რეჟიმის მკაცრი დაცვით როგორც გერმინალის ტერიტორიასა და აკვატორიაში, ასევე მის საზღვრებში მყოფ გემებსა და მცურავ საშუალებებზე.

2. ყველა ნავთობგერმინალზე უნდა არსებობდეს სახანძრო პოსტები, სათანადო ნორმების მიხედვით აღჭურვილი და დაკომპლექტებული პირველადი ხანძარჩასაქრობი საშუალებებით.

3. ყველა გერმინალი აღჭურვილი უნდა იყოს სტაციონალური საჰაერო მექანიკური ქაფსაქრობის სისტემით.

4. ნავთობ გერმინალზე დასაშვებია მხოლოდ ცენტრალური (წყლის) გათბობის სისტემა.

5. ნავთობგერმინალზე უნდა არსებობდეს მხოლოდ ელექტროგანათება.

6. ნავთობგერმინალზე უნდა არსებობდეს საიმედო სატელეფონო კავშირი და სახანძრო სიგნალიზაცია. ყველა სატელეფონო აპარატთან გამოკრული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ტელეფონების ნომრები.

7. ნავთობგერმინალის ყველა ნავმისადგომი აღჭურვილი უნდა იყოს ლითონით შემოუჭედავი ხის ან რეზინის ამრიდი მოწყობილობით.

8. ნავმისადგომის მისადგომი ხაზი უნდა იყოს მუდამ მოწესრიგებული და არ გააჩნდეს ლითონშვერილები.

9. ნავთობ გერმინალზე აკრძალულია:

ა) ყოველგვარი გარის და აღჭურვილობის დაწყობა;

ბ) ავტოგრანსპორტისა და სარკინიგზო თბომაველების დაშვება, რომლებსაც არ გააჩნიათ მოწონებული კონსტრუქციის ცეცხლასქრობი და ნაპერწკალსაქრობი მოწყობილობა;

გ) მოწვევა ნავთობგერმინალის მთელ გერიგორიაზე, სამსახურებრივ შენობებში და სხვა სანაპირო ობიექტებზე, გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

დ) ღია ცეცხლათან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება ნავთობგერმინალის მთელ გერიგორიასა და ნავმისადგომთან მდგომ გემებზე;

ე) გათბობა ადგილობრივი ღუმელის მეშვეობით;

ვ) ნავთობგერმინალის აკვაგორიაში იმ გემებისა და კანჯოების ნავმისადგომებთან მისვლა, რომლებიც არ მონაწილეობენ ნავთობპროდუქტების დაგვირთვა-გადმოტვირთვაში.

10. ნავთობგერმინალზე თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს ღლითა და ღამით კარგად ხილვადი წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე “არ მოწიოთ”, “ხანძარსაშიშია”, “არ გამოიყენოთ ღია ცეცხლი” და სხვა.

11. ხანძარსაშიშ და ფეთქებალსაშიშ ტვირთებთან დაკავშირებული სატვირთო ოპერაციების დაწყებისათვის, ნავთობგერმინალის ნავმისადგომზე სრულ მზადყოფნაში უნდა იქნას მოყვანილი ყველა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალება (წყალი და ქაფსაქრობი სისტემები, შლანგები განლაგდეს გემბანებსა და ნავმისადგომის გერიგორიაზე, ჩაირთოს ნაპერწკალსაქრობი და სხვა).

12. ნავთობ გერმინალის უბნის გერიგორიასა და აკვაგორიაზე უნდა სუფევდეს სისუფთავე.

13. ნავთობპროდუქტების გაქონვა მილსადენებიდან, შეერთებებიდან, ფარსახურებიდან და სხვა, დაუშვებელია. გაღინების აღმოჩენისთანავე ხდება სატვირთო ოპერაციების შეჩერება და დაზიანების შეკეთება ან გაუმართავი ნაწილის გამორთვა.

14. დაღვრილი ნავთობპროდუქტი დაუყოვებლივ უნდა აიწმინდოს, ხოლო დაღვრის ადგილას დაიყაროს ქვიშა.

15. ნავთობგერმინალის ნავმისადგომზე არსებული ნავთობშემგროვებლები სისტემატურად უნდა იწმინდებოდეს დაგროვილი ნავთობპროდუქტების ნარჩენებისაგან და ინახებოდეს გამართულ მდგომარეობაში.

16. ნავთობგერმინალზე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ყოველგვარი სატვირთო ოპერაცია ნავთობგერმინალსა და ნავსადგურში მდგარ გემებზე უნდა შეწყდეს. შლანგები ალაგდეს, გემები კი მოყვანილ იქნეს სრულ მზადყოფნაში ზღვაში გასასვლელად.

მუხლი 70. სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი წესები ნავსადგურში მყოფ გემებზე

1. ნავსადგურში შემოსულ გემებზე არსებული და განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს “ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესახებ” (SOLAS-74) საერთაშორისო კონვენციისა და საკლასიფიკაციო საზოგადოების მოთხოვნებს.

2. ნავსადგურში მყოფ ყოველ გემს სრულ მზადყოფნაში უნდა გააჩნდეს ყველა ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო საშუალება.

3. გემის კაპიტანმა უნდა შეასრულოს ნავსადგურის კაპიტანის მოთხოვნები, რომელიც წამოყენებულ იქნა გემის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემოწმების შემდეგ.

4. გემი, რომელიც მითითებისამებრ არ შეასრულებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, ზღვაში არ გაიშვება.

5. ცეცხლსაშიში გვირთებით დაგვირთული გრიუმებისა და სხვა სათავსოების, ასევე ამავე გვირთის გადმოგვირთვის შედეგად დაცარიელებული გევალოების შემოწმება უნდა მოხდეს ფეთქებადუსაფრთხო კონსტრუქციის გადასაგანი სანათი საშუალებებით.

6. მოწვევა გემზე დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ ადგილას.

7. მოსაწევ ადგილებზე უნდა იდგეს წყლიანი ურნები ასანთისა და ნამწვავებისათვის და გამოკრული იყოს წარწერა “მოსაწევი ადგილი” ინგლისურ ენაზე.

8. იალქნიანი და იალქნიან-მოგორიანი გემების, კატარღების, მცურავი ამწეების, სარემონტოდ და დიდი ხნით გაჩერებული გემების სამზარეულოებში (კამბუზებში) და ბუხრებში ცეცხლის გაჩაღება შეიძლება მხოლოდ ნავსადგურის სახანძრო დაცვის წერილობითი ნებართვით.

9. აკრძალულია ცეცხლის გაჩაღება ხანძარსაშიში გვირთით დაგვირთული გემის დამუშავების ადგილიდან 100 მეტრის სიახლოვეს.

10. გემებთან, რომლებსაც გრიუმით ან გარით გადააქვთ 3.1., 3.2., 3.3. ქვეკლასის ადვილადააღებადი სითხეები ან გარაში მოთავსებული ადვილადააღებადი სითხეები განლაგებულია გემბანზე, აკრძალულია ინსტრუმენტის გამოყენება, რომელსაც დარტყმის შედეგად შეუძლია ნაპერწკლის წარმოქმნა.

11. გემზე არსებული პიროგექნიკური სასიგნალო საშუალებები (ფელშეერები) უნდა ინახებოდეს სპეციალურ რკინის კარადებსა და ყუთებში, რომლებიც ღია ხიდურზე უნდა იქნენ დამონტაჟებულნი და აღჭურვილნი თაროებით. პიროგექნიკური სასიგნალო საშუალებების შენახვაზე პასუხისმგებელია გემის კაპიტანი.

12. გემის კაპიტანი პასუხს აგებენ აღნიშნულ სასიგნალო საშუალებათა შენახვაზე.

13. სასიგნალო რაკეტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ უბედურების სიგნალის მისაცემად.

14. დაგვირთვის დაწყებამდე გემის ადმინისტრაციამ გულდასმით უნდა შეამოწმოს ელექტროგაყვანილობა გრიუმებში და დარწმუნდეს, რომ იგი არის წესრიგში.

15. საგვირთო ოპერაციები ნავთობპროდუქტებთან უნდა სრულდებოდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ამისათვის სპეციალურად დანიშნული გემის კაპიტანის თანაშემწის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

მუხლი 71. სახანძრო უსაფრთხოება ნავთობმზიდი გემების (განკერების) დამუშავებისას

1. საგვირთო განკების დასაგვირთად მომზადება მას შემდეგ, რაც გადაზიდულ იქნა 3.1. და 3.2. ქვეკლასის ადვილადააღებადი სითხეები (გარეცხვა, გაწმენდა, გვირთის ნარჩენების მოცილება, დეგაზაცია) ნებადართულია მხოლოდ იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც დარტყმის შედეგად არ წარმოქმნიან ნაპერწკალს.

2. ნავთობგერმინალებისა და ნელლი ნავთობის გადაზიდვის შემდეგ გრიუმებსა და განკებში შესვლა შეიძლება მხოლოდ მათი წინასწარი გარეცხვისა და დეგაზაციის ჩატარების შემდეგ. განათების აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ფეთქებადუსაფრთხო ფარნები.

3. 3.1. და 3.2. ქვეკლასის ადვილადააღებადი სითხეების დასაგვირთ შლანგებს უნდა გააჩნდეს:

ა) ფერადი ლითონის ან ფერადი ლითონით მოპირკეთებული ნაპირა გუჩები;

ბ) სპილენძის მავთული ან ფირფიტა, რომლის ბოლო მიდუღებული უნდა იყოს პირგუჩებთან, სტატიკური ელექტრობის თავისუფალი წრელის შესაქმნელად.

4. განკერის კორპუსი, საგვითო შლანგები და სანაპირო მილსადენები საიმედოდ უნდა იყოს დამიწებული.

5. გვითი, რომლის ტემპერატურა ჩასხმამდე 5 გრადუსით განსხვავდებოდა მათი ფეთქების ტემპერატურისგან, მიეკუთვნება 3.1 და 3.2 ქვეკლასის ადვილადაალებად სითხეების გვითს და მისი დაგვითვა უნდა განხორციელდეს სათანადო პირობების გათვალისწინებით.

6. 3.1. და 3.2. ქვეკლასის ადვილადაალებადი სითხეების გვითის განკერებში ჩასხმის ან გადმოსხმისას აკრძალულია:

ა) ღია ცეცხლის გამოყენება, ამასთან დაშვებულია ქვაბების გახურება, თუ იგი გამოიყენება საგვითო ოპერაციებისათვის;

ბ) გადასატანი ელექტროგასათობი ხელსაწყოების, ასევე გემისა და სანაპირო ქსელის გადასატანი ელექტროკაბელების გამოყენება.

7. საგვითო ოპერაციების წარმოებისას გემზე, რომლებსაც გადააქვთ 3.1 და 3.2 ქვეკლასის ადვილადაალებადი თხევადი სითხეები იმ პირობის საგვითო გემბანზე სიარული, რომლებიც საგვითო ოპერაციებთან არ არიან დაკავშირებული, აკრძალულია.

8. საგვითო გემბანზე მოძრაობა უნდა მოხდეს გადასასვლელი ხიდურებით, რომლებიც მოფენილი უნდა იყოს საფენით და შემოფარგლული მოაჯირით (ლერი).

9. პირებს, რომლებიც საგვითო გემბანზე 3.1 და 3.2 ქვეკლასის ადვილადაალებადი სითხეების ჩასხმის ან გადმოსხმის ოპერაციებში მონაწილეობენ, უნდა ეცვათ არანაპერწკალსაშიში ფეხსაცმელი.

10. ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნულ პირებს ეკრძალებათ თან იქონიონ ასანთი, სანთებელა და სხვა ლითონის საგნები, რომლებმაც დავარდნისას შეიძლება წარმოქმნან ნაპერწკალი.

11. 3.1 და 3.2 ქვეკლასის ადვილადაალებადი სითხეების დაგვითვა-გადმოგვითვა ელჭექის დროს აკრძალულია. ამ დროს განკერი, გრიუმები და გამსარიდი მილები უნდა დაიკეტოს.

12. განკერის ბუქსირით მომსახურეობისას ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი მებუქსირე და საბუქსირე გემებზე უნდა იყოს ერთნაირი.

13. არათვითმავალი ნავთობსასხმელი ბარკიდან ადვილადაალებადი სითხეების ნავთობტერმინალში ან გემში გადასხმისას მებუქსირე გემი უნდა იმყოფებოდეს მზადყოფნაში ამ ბარკასთან ახლოს საჭიროების შემთხვევაში მისი ნავთობტერმინალიდან (გემიდან) დაუყოვნებლივ გადასაყვანად.

თავი 14. ნავსადგურის აკვაგორიის დაბინძურების თავიდან აცილება

მუხლი 72. ნავსადგურის აკვაგორიის დაბინძურებისაგან დაცვა

1. ნავსადგურის აკვაგორიის დაბინძურებისაგან დაცვა რეგულირდება “საზღვაო სივრცის შესახებ” და “ბუნების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონებით.

2. გემებს, ნავსადგურის სანაპირო ორგანიზაციებს და ნავსადგურის ტერიტორიაზე განთავსებულ სხვა უწყებათა სამსახურებს ეკრძალებათ ნავსადგურის რეიდის, ფარვაგერის დაბინძურება ნაგვით, შლაკებით, საჭმლის ნარჩენებით, საწვავით, მეთებით, ხის მასალით, ასევე აკრძალულია გემის ბორტიდან გვარლების, გარის სხვა ნივთების გადაყრა.

3. გრიუმების დაშრობა უნდა მოხდეს წინასწარ, ღია მღვაში გემის გარე რეიდთან მისვლამდე.

4. ნავთობის დაღვრა ნავსადგურის აკვატორიაში ითვლება საგანგებო შემთხვევად. გემის კაპიტანი ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს ნავთობის დაღვრის თავიდან ასაცილებლად.

5. სიგყვა “ნავთობი” ნიშნავს ნავთობ ნედლეულს, მისგან წარმოებულ პროდუქტებს, ნარჩენებს, და წყლისა და ნავთობის მინარევებს.

6. სანავთობო ტანკებიდან წყლის ბალასტის გადაღვრა, ლიალებისა და კოფერდამების გაშრობა, ასევე ტანკების ნარეცხის ზღვაში ჩაღვრა აკრძალულია. გემზე დაგროვილი ყველა ნარჩენი უნდა ჩაბარდეს ნაპირზე.

7. გემიდან ნარჩენების მოგროვებას ახორციელებს გემის აგენტი.

8. დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციისათვის ქიმიური პრეპარატების გამოყენება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

9. რეიდზე ან ნავმისადგომთან მდგარი გემები, რომლებიც შეამჩნევენ ნავთობს წყლის ზედაპირზე ვალდებული არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ნავსადგურის კაპიტანს.

10. ნავსადგურის აკვატორიაში ნავთობის დიდი ოდენობით დაღვრის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოცხადდეს გემის საერთო განგაში ან განგაში დაბინძურებასთან დაკავშირებით, მომზადდეს ქაფსაქრობი სადგური, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და ეცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შავი ზღვის დაცვის კონვენციურ ინსპექციას.

11. ნავთობის დაღვრასთან დაკავშირებით შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია დამნაშავეთა თაობაზე აღგენს აქტს დაღვრილი ნავთობის სავარაუდო ოდენობის ჩვენებით.

მუხლი 73. ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების მოთხოვნები გემების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიმართ

1. ზღვასთან და ნავსადგურის აკვატორიის მახლობლად განლაგებული ორგანიზაციები, რომლებიც წარმოებაში გამოიყენებენ ნავთობპროდუქტებს, ქიმიურ ნივთიერებებს და ნაერთებს, ვალდებული არიან დაიცვან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა. ისინი ვალდებულნი არიან გამორიცხონ მავნე ნივთიერებათა ნიადაგში, ნავსადგურის აკვატორიასა და ღია ზღვაში გაჟონვა.

2. ყველა გემი, ვალდებულია არ დაუშვას ბორტიდან ნავთობპროდუქტებისა და ყველა სხვა ნივთიერებების გადაღვრა, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი რესურსებისათვის.

3. აკრძალულია გარემოს დაბინძურება სქელი კვამლით და გაზებით.

4. ნავსადგურის განყოფილებებისა და მეურნეობების ყველა ხელმძღვანელი, ასევე ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც სამუშაოს აწარმოებენ ნავსადგურში, პასუხს აგებენ ამ ობიექტების სისუფთავისა და წესრიგის შენარჩუნებაზე.

5. ყველა გემზე უნდა გაგარდეს სათანადო ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ნავთობისა და ნებისმიერი კონცენტრაციის ნავთობნარევების, ასევე ფეკალური წყლების, საჭმლის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნაგვის, ქიმიური ნივთიერებებისა და დაბინძურებული წყლის ზღვაში ჩაღვრა.

6. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლამდე ყველა გემზე სარქველები და სხვა მოწყობილობები, საიდანაც შეიძლება ზღვის დაბინძურება, უნდა დაიკეტოს და დაიღოს პლომბი.

მუხლი 74. ნავთობპროდუქტებით და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერებებით ზღვის დაბინძურების გამო პასუხისმგებლობის შესახებ

ნავსადგურის აკვატორიის ან რეიდის დაბინძურების შემთხვევაში გემის კაპიტანი (გემთფლობელი) აანაზღაურებს ლიკვიდაციისათვის გაწეულ ხარჯებს, გარდა ამისა დამნაშავეები იხდიან ჯარიმას ან საქმე გადაეცემა სასამართლოს დაბინძურების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული მარალის ანაზღაურებაზე.

გემის რეისში გასვლისათვის ნავსადგურის კაპიტნის მიერ ნებართვის გაცემა ხდება მას შემდეგ, რაც იგი წარმოადგენს ყოველგვარი ნარჩენების ჩაბარების თაობაზე გაცემულ ცნობას.

მუხლი 75. საწვავის მიწოდება ნავსადგურში

საწვავის მიწოდება გემისათვის ხორციელდება მხოლოდ სრული მზადყოფნის შემდეგ, რაც დასტურდება გემის მიერ ნავსადგურის კაპიტნის სამსახურში გაგზავნილი ინფორმაციით.

2. გემის რეისში გასვლისათვის ნავსადგურის კაპიტნის მიერ ნებართვის გაცემა ხდება მას შემდეგ, რაც იგი წარმოადგენს ყოველგვარი ნარჩენების ჩაბარების თაობაზე გაცემულ ცნობას.

3. საწვავის ჩასხმა გემში აკრძალულია ნავსადგურის კაპიტნის სამსახურის ნებართვის გარეშე.

4. საწვავის აღების ტექნოლოგიური რუქა და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შემამოწმებელი ფურცელი საწვავის მიღების მზადყოფნის შესახებ გემს უნდა გააჩღეს.

5. დასაშვებია საგრანსპორტო გემებში საწვავის ჩასხმა საგვითო ოპერაციების მიმდინარეობის პერიოდში სპეციალურად აღჭურვილი მებუნკერე გემების მეშვეობით, თუ გემზე არსებული გვითი სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით უსაფრთხოა. ამ შემთხვევაში, როგორც მებუნკერე, ასევე საბუნკერე გემების გარე გემბანზე არ უნდა იყოს ღია ცეცხლი, ხოლო გამოსაბოლქვ და საკვამურ მილებზე არსებობს ტექნიკურად გამართული ნაპერწკალსაქრობი საშუალება. საბუნკერე გემის ეკიპაჟის მიერ სიფრთხილის დამატებითი ღონისძიებების გატარების მიზნით მებუნკერე გემის ბორტთან მისვლის შესახებ უნდა გამოცხადდეს გემის რადიოგრანსლაგორით.

6. თხევადი საწვავის გემში ჩასხმა აკრძალულია:

- ა) საბუნკერე და მებუნკერე გემების მიერ საწვავის ჩასხმისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარებლობის შემთხვევაში;
- ბ) თუ ერთი რომელიმე ხანძარსაქრობი სტაციონალური სისტემა გაუმართავია;
- გ) თუ გემზე მიმდინარეობს შეღულებასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- დ) გემზე იმყოფებიან მგზავრები.

კარი II. ნავსადგურების ჩვეულებები

თავი 15. ნავსადგურის ჩვეულებები

მუხლი 76. ზოგადი დებულებები

1. არსებული ჩვეულებები გამოიყენება საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საერთოდ არ არსებობს ხელშეკრულება საზღვაო გადაზიდვების შესახებ;
- ბ) საზღვაო გადაზიდვების შესახებ არსებულ ხელშეკრულებაში ან კონოსამენგში არ არის მითითებული პირობები, რომელთა რეგულირებაც ხდება ნავსადგურებში მიღებული ჩვეულებებით;
- გ) საზღვაო გადაზიდვების, ან საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში, ან სხვა ნებისმიერ დოკუმენტში არის მითითებული საქართველოს ნავსადგურების ჩვეულებებისა მოთხოვნათა შესრულება.

მუხლი 77. საგვირთო ოპერაციების წარმოების ზოგადი წესი

ყველა გემი ვალდებულია საგვირთო ოპერაციების წარმოებისათვის დადგეს ნავსადგურის კაპიტანის მიერ მითითებულ ნავმისადგომთან, იმ აუცილებელი პირობით, რომ გემმა მულმივად შეინარჩუნოს გივგივის მდგომარეობა.

მუხლი 78. ინფორმაცია გემის შესვლის შესახებ

1. გემი “შემოსულად” ითვლება, თუ მან გადაკვეთა გარე რეიდის საზღვარი და დადგა ღუზაზე ნავსადგურის კაპიტანის სამსახურის მიერ მითითებულ ადგილზე.

2. ნავსადგურისაკენ მიმავალი ყველა გემის კაპიტანი ვალდებულია ნავსადგურში მისვლამდე არაუგვიანეს 7 დღით, შემდგომ კი 72, 48 და 24 საათით ადრე გემის აგენტის მეშვეობით შეეცობინება (რადიო ნოგისი) მიაწოდოს ნავსადგურს შესვლის თარიღისა და დროის შესახებ, ხოლო შესვლამდე 2 საათით ადრე გემის კაპიტანი ვალდებულია დაამუხსოს მოსვლის დრო რადიოტელეფონით.

3. თუ გემის გადასვლა 48 საათზე ნაკლებია, წინა ნავსადგურიდან გასვლიდან არაუგვიანეს 1 საათის შემდეგ, ხოლო გემის მისვლამდე 2 საათით ადრე კაპიტანი ვალდებულია მიაწოდოს შეეცობინება (რადიო ნოგისი) გემთმფლობელის აგენტს;

4. გემთმფლობელის აგენტი ვალდებულია გადასცეს შესაბამისი შეეცობინება (რადიო ნოგისი) ნავსადგურის კაპიტანს, ნავსადგურის ადმინისტრაციას, საბაჟო და სასამღვრო ორგანოებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, ხოლო წერილობითი ნოგისი გადაეცემა გემის რეიდზე დადგომის შემდეგ.

5. თევსაჭერი გემების კაპიტანები ნავსადგურში მისვლამდე 2 საათით ადრე შეეცობინებას (რადიო ნოგისი) აწვდიან ნავსადგურის კაპიტანს.

6. გემის კაპიტანის პირველადი შეეცობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გემის დასახელება და დროშა;
ბ) გემთმფლობელის ვინაობა;
გ) გამოსვლის ნავსადგური (ბოლო ნავსადგური, რომელშიც შევიდა, რეწვის რაიონი);

დ) გემის წყალშიგი ქიმიით და კიხითი;

ე) გვირთამწეობა, გემის ზომები;

ვ) მგზავრთა რაოდენობა;

ზ) გვირთის დასახელება, განსაკუთრებული თვისებები, რაოდენობა (პარკის წონა), გემზე განთავსება: გემბანზე, გვიდეკზე, გრიუმებში (გამჭოლი გრიუმების შემთხვევაში – ყოველ ლიუკში), ერთი საგვირთო ადგილი სიგრძით 8 მეტრი ზომის გვირთისა და წონა, მძიმე წონის 10 ტონაზე მეტი გვირთის შემთხვევაში (ტანკერებისათვის – ბალასტის რაოდენობა და ნავმისადგომთან დებალასტირების დრო);

თ) გვირთის მიმდების ან გამგზავნის დასახელება;

ი) მოთხოვნილება საწვავზე (ბუნკერი), სასმელ წყალზე, მომარაგებაზე და სხვა დამხმარე ოპერაციებზე.

7. ინფორმაციის უქონლობის ან გემის კაპიტანის მიერ არასრულად ან დაგვიანებით აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების გამო გემის ნავმისადგომთან დაყენების მოცდენა და დამუშავების დაყოვნება გემთმფლობელის პასუხისმგებლობაა და აღინიშნება ნავსადგურში გემის ყოფნის აღრიცხვისას (თი შ თ).

8. კაპიტანი ვალდებულია ყოველგვარი შეფერხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გემის ნავსადგურში შესვლის სავარაუდო დროის გადავადება, აგენტის მეშვეობით აცნობოს ნავსადგურის ადმინისტრაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასევე ნოგისის მიუწოდებლობის ან გემის კაპიტანის მიერ სხვა ინფორმაციის დაგვიანებით ან არასწორად მიწოდების შემთხვევაში სტალიური დრო იმრდება 24 საათით.

მუხლი 79. თავისუფალი პრაქტიკის გაფორება

1. გემი თავისუფალ პრაქტიკას იღებს ნავმისადგომთან დაყენების შემდეგ, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი რეიდზე, სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარული და საკარანტინო ფორმლობების შესრულების შემდეგ. აღნიშნული მომენტიდან აითვლება საგვირთო ოპერაციებისათვის განკუთვნილი (სგალიური) დრო.

2. ყველა გემის კაპიტანი თავისუფალი პრაქტიკის მიღებიდან 12 საათის განმავლობაში ვალდებულია გემის აგენტის მეშვეობით გააფორმოს გემის მოსვლა ნავსადგურის კაპიტანის სამსახურში.

3. გემის შემოსვლას აფორმებს ნავსადგურის კაპიტანის სამსახურის მორიგე კაპიტანი გემის საბუთების და “კაპიტანის პაგაკის” შევსებული ბლანკის წარმოდგენის შემდეგ. აღნიშნული საბუთების საფუძველზე ხდება გემის შემოსვლის რეგისტრაცია და “კაპიტანის პაგაკის” ბლანკისა და გემის ეკიპაჟის სიაზე შტამპის დასმა, თავისუფალი პრაქტიკის გაფორმების დროის მითითებით.

მუხლი 80. საგვირთო ოპერაციისათვის გემის მზადყოფნა

1. გემის გადმოსატვირთად ან დასატვირთად მზადყოფნის შესახებ წერილობითი ნოტისი კაპიტანმა თავისი აგენტის მეშვეობით უნდა გადასცეს ნავსადგურის ადმინისტრაციას და გვირთის მიმღებს ან გამგზავნოს გემზე საბაჟო პროცედურების დასრულებისა და “თავისუფალი პრაქტიკის” მიღების შემდეგ ნავსადგურში დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში.

2. გემის გვირთთავესები (გრიუმები) დაგვირთვის ოპერაციების დაწყებამდე სრულიად უნდა გაიწმინდოს და უზრუნველყოფილ იქნას ყველა საჭირო მოწყობილობით მოცემული გვირთის დასატვირთად.

3. გემის მზადყოფნის შესახებ შეცვობინება (ნოტისი) მიღებულად ჩაითვლება მოცემული გვირთის დასატვირთად ან გადმოსატვირთად გემის მხოლოდ იმ გვირთთავესის (გრიუმის) ან ტანკის ფაქტობრივი მზადყოფნის შემთხვევაში

4. გემი ნაყარი გვირთით დასატვირთად მზადყოფნაში ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ არსებული ოფიციალური “სატვირთო მარკა” ხილვადია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გვირთის რაოდენობის განსაზღვრა “სატვირთო შკალის მიხედვით”.

5. საშიშ გვირთებთან დაკავშირებული საგვირთო ოპერაციები დაიშვება მხოლოდ გემის კაპიტანის მიერ ნავსადგურის კაპიტანისათვის “საშიში გვირთის გადაზიდვის სერტიფიკატის” წარდგენის შემდეგ.

6. ეს წესი არ ვრცელდება სპეციალიზებულ გემებზე, რომლებიც სპეციალურად არიან აგებული საშიში გვირთების გადაზიდვისათვის (ტანკერები, ქიმშილები, აირშილები და სხვა).

მუხლი 81. სგალიური დროის ათვლა

1. იმ შემთხვევაში, თუ შეცვობინება (წერილობითი ნოტისი) მშრალგვირთშიდი გემის საგვირთო ოპერაციებისათვის მზადყოფნის შესახებ კაპიტანის მიერ გაცა 12 საათამდე, სგალიური დროის ათვლა იწყება იმავე დღის 13 საათიდან, ხოლო თუ ნოტისი გაცემულია 12 საათის შემდეგ _ 9 საათიდან.

2. ტანკერებისათვის სგალიური დროის ათვლა იწყება გემის წერილობითი ნოტისის ჩაბარებიდან 6 საათის შემდეგ, მიუხედავად იმისა, ეს გემი დგას თუ არა ნავმისადგომთან.

3. დადგენილ სამუშაო საათებზედ საქართველოს ნავსადგურებში ითვლება დრო 9-დან 18 საათამდე, კვირა და საღმთისასწაულო დღეების ჩათვლით.

4. სგალიური დროის გამოთვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

დღე, რომელიც წინ უძღვის კვირას ან სადღესასწაულო დღეს, ჩაითვლება სამუშაო დღედ.

კვირა და სადღესასწაულო დღეების მომდევნო დღეებში სტალიურ დროის ათვლა იწყება დილის 8 საათიდან.

მუხლი 82. ნავსადგურში ხარჯების განაწილება

ნავსადგურში გემის კაპიტანის (გემთმფლობელის) საჭიროებისათვის გადაადგილება ბუნკერის, მარაგის, სურსათისა და მასალების მიღება, შეკეთება და ა.შ. ხორციელდება გემის ხარჯზე.

გემის ყოველი გადაადგილება ერთი ნავმისადგომიდან მეორეზე, რომელიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული კაპიტანის დაკვეთასთან, ხდება ნავსადგურის ან სხვა დამკვეთის ხარჯზე.

მუხლი 83. საგვირთო ოპერაციების წარმოების დრო და ანაზღაურება

1. გემის კაპიტანი ვალდებულია აწარმოოს გვირთვის დაგვირთვა ან გადმოგვირთვა მთელი დღე-ღამის განმავლობაში, ასევე კვირა დღესა და სადღესასწაულო დღეებში, თუ ამას მოითხოვს გვირთვის გამგზავნი ან მიმღები.

